

ქართული  
ნიულოთიკა

# ნიშადური



№ 50


ყოველკვირული ჟურნალი

№ 50

პირველ ივლისიდან „ნიშადურის“ გზავნა მოეწოდებათ იმათ, რომელთაც  
ხვედრი ფული არ შემოუტანიათ.

ქართველი მწერლები და მოღვაწენი.

კონტრ-რევოლიუცია სპარსეთში.



ივანე მაჩაბელი.

(ათი წლის უგზო-უკვლოთ დაკარგვის გამო).



სპარსეთის შაჰი მაჰმუდ-ალი-შაჰი.

რომელმაც სამჯერ უღალატა საქვეყნოდ აღიარებულ დიქს და აღტქმას კონსტიტუციის ერთგულებაზე. 17 ივნისს ვერა-გულის ძალმომრეობით, ზარბაზნებით და ყუმბარებით განადგურა სპარსთა თავისუფლების სავანე „ანჯუმენი“. სპარსელები ვერ შერიგებიან შაჰის ვერაგობას და თავგანწირვით იბრძვიან წართმეულ თავისუფლების დასაბრუნებლად.

### სოფელს მიხედვით

(შემდეგი)

არა მგონია რეაქციის სიმწვავე ისეთი საგრძობე-  
ლი უოფილიუოს ვისთვისმე ჩვენში, როგორც გლეხის-  
თვის. უგულას გადახდა თავისი ცოდვა, გლეხს კი თავი-  
სი ხომ გადახდა და გადახდა, სხვის ცოდვაც ბუერია—სე-  
და. გლეხი იუა დამნაშავე იმაში, რომ თავის ექსპლოა-  
ტატორთა წინააღმდეგ ხმა ამოძღა. გლეხი იუა დამნა-  
შავე იმაში, რომ თავისუფლების ხმამ აიტაცა და თავი-  
სებურად შეიხდრა, მაგრამ ეს არ კმარა. მარტო იმაში  
რომ უოფილიუო დამნაშავე, მარტო ამ ცოდვებისთვის  
რომ განეცადა ჯოჯოხეთური ცეცხლი, შეიძლება ითქვას,  
რომ ბევრს არას ინადგლიდა. ჭიდაობაში კაცი რომ ფეხს  
ან ხელს იდრძობს, მხოლოდ ტკივილს განიცდის, სუ-  
ლიერად ის კმაყოფილია. გლეხი ბევრს სხვა რამეშია  
იუო დამნაშავე ის და მხოლოდ ის იუო დამნაშავე, რომ  
რამეშადა და ზრთაგანდასტად რეფორმაციის დროს სო-  
ფელს მოეგლინა უჭკუო და უზნეო მარცხველ-უხადები,  
რომელთა მოქმედებაც ისე გააძწავა რეაქციის მოთავენი,  
განსაკუთრებით კი ჯარი, რომ თუმცა მოაგრობამაც, ჯარ-  
მაც, თავად-ანაურობამაც, ბურჟუაზიამაც და სამდგდელო-  
ებამაც კარგად იცოდა, რომ გლეხი აქ არაფერს შეაშია,  
რომ ის იუო მხოლოდ საგანი, რისთვისაც მისმა „მოკო-  
ბრებმა“ უგულას ეს საზიზღრობანი ჩაიდინეს, მანც უზო-  
მიად სტანჯეს და აწამეს გლეხი. უგულას ეს შენი გულის-  
თვის მოხდა, შენი სახელთ მოქმედებდნენ და შენ, არ  
შეიძლება, მათ გულში მანც არ თანაგრძობდეთ.

დამნაშავე იუო გლეხი იმაშიც, რომ რამეშადა ზრთ-  
აგანდასტები რეაქციის ქარიშხლის ზირველ დაბრუნებულ-  
ვე გამოთხად წიწილებივით აქეთ-იქით მიიმდინეთ და  
მოაგრობას სათითად მათი დაჭერა შეტად უძნელდე-  
ბოდა.

— ჩვენ მათ ვერა ვდევთ ტყეებს და დრეებში და  
არცა გვაქვს ამის სურვილი—უზნებოდა ზოლიცა სოფ-  
ელეებს—დაუფრებელივ დაიჭირეთ შეჭკარით და ჩვენთან  
წარმადადებენთ!

რანაირად დაიჭერდა გლეხი ტყეში გადაკარგულ რა-  
სმელს, ან სამხდვარ-გარეთ თავშეფარებულ ზრთაგან-  
დასტს, რანაირად შეეკრა უიარაღო გლეხს თავიდან ფე-  
ხებამდე შეიარაღებული რამელები, რომლებიც ჯგუფ-  
ჯგუფად აფარებდნენ თავს მთებსა და ტყეებს, ამის ზო-  
ლიცა არ დაეძებდა და არც კიბხულობდა.

— შე არა ვიცი რა, როგორც გინდა ისე იზოვნე,  
როგორც გინდა ისე დაიჭირე, ეს კი ასე უნდა იუვის,  
ისიც ამ მოკლე ხასში!

ამ გვარი ბრძანება ერთხელ კიდევ ნათლად ამტკი-  
ვებს რა უსამართლობა შეუძლიან ჩაიდინოს უოველ შემ-

დებულს დესპოტს თავის დახარულს და მისი წინაშე.

როგორ უნდა შეეძლო ამ საქმის სისრულეში მოყ-  
ვანა მუშა-გლეხს, უღონო, უიარაღო გლეხს, მაშინ რო-  
დასაც უოველ შემძლებელი ზოლიცა ვერას აწებდა და  
დღესაც კი ვერა გაუწევია რა? ან იქნებ ზოლიცა ეგო-  
ნა, რომ გლეხების დარბევითა და შეწუხებით გადაგრდ-  
ნილს რამეშადა-ზრთაგანდასტებს სვინიდას გაუფიქრებ-  
ნენ და აიძულებდნენ მათ წინაშე თავის ნებით გამოცხა-  
დებულეფენ?


ასე იუო თუ ისე, სოფლებს ებრძანათ რამეშადა-  
ზრთაგანდასტების დაჭერა, სოფლები ამას ვერ ასრულე-  
ბდნენ და სოფლებში სოლომისა და გამოცხად-  
ებოდა.

შოთაშინის მარხაში თავს აფარებდა და ადგილიდან  
ადგილზე გადადიოდა მერველიაძის რამეში, გარის მარ-  
ხაში გრძობა წერეთლისა და სხვა ზატარ-ზატარა რამეში  
და დღე დადგა ამ ორ მარხას, სხვა მარხებს რომ თა-  
ვი დავანებოთ, ამ „ხალხის მეგობრების“ გულისთვის, ეს  
უგულამ კარგად იცის. მხოლოდ იმიტომ რომ ჩვენებურ  
რეფორმაციის ამ ორს „გმირს“ თავისი ძვირფასი სიცო-  
ცხლე შეეხანჩუნებინა და ზოლიცა არ ჩავარდნოდა ხელ-  
ში, ორივე მარხაში რამეშადაში შეძლებული, ღონიერი  
სოფლები დაეცა, გაღარიბდა, მრავალი ოჯახი განადგურ-  
და, მრავალი ქართული ქალი გაუზარტიურდა, მრავალი ბი-  
ჭი გაიღასა და მრავალიც მოკლულ იქნა.

სოფელი არ არის იმისთანა, სადაც ეკუთვნის არ  
მდგარივეს, ხოლო რა არის ეგუთვნის სოფელში ისიც  
ანაღ რეაქციის დროს, როდასაც „ხალხს აჭკვიანებენ“,  
ხალხს ანგარიშს სთხოვენ და როდასაც უოველ ჯარის-  
კაცს, უოველ კაზაკს, უოველ სტარჟინკს ხალხზე განუსა-  
ზღვრელი უფლება აქვს მინიჭებული და მისთვის არავის  
წინაშე არ აძლებს, ეს იცის მხოლოდ იმან, ვისაც ეს თავ-  
ვის თავზე განუცდა, ან და თავის თვლით უნახავს. ვი-  
საც თვლით არ უნახავს, ის ვერაფრის გზით ვერ წარ-  
მოადგენს. ვიტყვი მხოლოდ, რომ გლეხი სიტყვა ეგუ-  
თვნის გაგონებაზე სწორედ იმასვე გრძობს, რასაც  
გრძობდა ესპანელი ინგოზინიის დროებებში წამების  
ოთახში რომ შეიფანდნენ და საწამებელ იარაღს რომ და-  
ინახავდა.

ადამიანისთვის ეს შიშიც კმარა და გლეხს ამ ორი  
წლის განმავლობაში თუ თანხში ეგუთვნის არ ედგა, ეს  
შიში არც ერთს წუთს არ მოშორებია ოქროდან.

ამ ორი წლის წინად ერთ-ერთი მარხის ერთმა უფ-  
როსმა, რათა აქებლებინა სოფლები რამეშადა-ზრთაგანდას-  
ტები ან დაეჭირათ, ან და მათი კვადი ეჩვენებინათ, შე-  
მდეგი საშუალება გამოიგონა: ზამთარში თოვლსა და ქარ-  
ში მათრახებითა და თოფების კონდახებით მოუფრინდნენ  
თავს მდინარესთან დიდსა და ზატარას, ქაღასა და ბავშვს



და შერკეპუნენ წელამდე წელში. გარშემო შემოერთებულა ჯარი და მზად იყვნენ, ვინც კი ნახირას გამოვიდოდა, ესრელათ თფი და იქვე მოკლათ. საათობით იდგა ხალხი წელამდე გაჩინულ წელში:—დაიჭირეთ რაზმელები, ან და წაგვიფიანეთ და თავზე დაგვაყენეთ, სად არიან და სად იმალებიან. ხალხი ჯიუტობდა და არას ამბობდა, რადგან თუ ვინმე ხმას ამოიღებდა, რაზმელების მხრივ მეორე დღესვე უარესი დღე დადგებოდა, და ხალხი იდგა წელში.

გაცივდა ვინმე ამ „ვანების“ შემდეგ და დასნეულდა ან თუ მოკვდა, ვინ კითხულობს ამას?

ან რა საკითხავია!

ოდონდ საქმე კი გაკეთდეს, ოდონდ რომელიმე ბოქაულმა უფროსისაგან მადლობა დაიმსახურეს. ოდონდ კი ცხვარება თავის კალაპოტში ჩავარდეს!

გლეხის ტანჯვას კი საზღვარი არა აქვს, არც ბოლო უჩანს და არც მცირდება. ზოფიციის აგენტების ენერჯია დაუშრეტელია. დაიღლება ერთი, მას სცვლის მეორე უფრო მეტი, რაქციის უფრო სსსტიკი მხელები.

დღეს ადამიანური გულისა და სულის მახელებს სოფლად ვერ შეხვდებით. სოფლად მშვიდობიანობისა და წესრიგის დამცველ მხელებს არიან სისასტიკითა და სიმხეტით განთქმული ბოქაულები, მამასახლისებდა—ნახაფრადი, ნასტრანკიკარი ოსება ან და დასადალებული, გაბორბტებული, გამხეტებული თავადი ან ახნაური. ყველა ესენი „სახელ-განთქმულნი“ არიან. და არც დალატობენ როგორც თავის ბუნებას ისე სამსახურს. ყველა მათგანი სისასტიკით განთქმული ზატარა მინისტრი დურნოვია. როგორც დურნოვო, გაიძახიან: „მე მოვსზობ რეფოლიუციის სახელსაც კი“, „მე ჩავაგდებ ცხვარებას თავის კალაპოტში“ და ყველა მათგანი იწეობს გლეხიდან, ყველა გლეხს უჭერს მუხრუჭს, ყველა გლეხს სცემს, რომ სხვას შესძინოს.

რომელიმე სოფელზე გზათ გაიარა რაზმელებმა ან ზრახვანდისტმა, მეორე დღეს სოფლის რჩეული კაცები დაბარებულნი არიან ბოქაულთან „კანცელარიაში“. რას ნიშნავს ამ გვარი „დაბარება“, სოფელში კარგად იციან. ცოლშვილს შეეჩებათ ტირილი და თავში ცემა, დაბარებული საკლავ ხარკით გამოიფურება. იცის რომ სცემენ, უმოწყალოდ სცემენ მათგანთ, კეტით, რკინის ჯახებით, გამოცდილია და მეზობლის ტანზედაც უნახავს სისხლის ზოლები, იცის რომ ძვლებს დაუნტრევენ, დასახინებენ, მაგრამ მაინც მიდის, მიდის რადგან უძღურია, ვით მგლებით გარსემხვეული ცხვარი. დაბრუნდება სახლში და ღოგინმა ჩაწება. არც კი დაინივლებს, არც კი არავის ეტყვის. ვისთან დაინივლას, ან ვის უთხრას? ვინა ჭყავს გულშემატკივარი?

გლეხის ცემა, დაბრევა ისეთ ადვილ საქმეთ შეიქმნა სოფლად, ისე გაზშირდა და ისე შეეჩვია ყველა, რომ

გამლახველები არამც თუ არ ფარავენ, სატრანსპორტ მანქანათ და საზოგადოებაში ამაზე თავისუფლად მოძრაობენ.

ერთი ბოქაული, რომელსაც კისერი ბუღალავით გასივია და ხელები ჭერკულეს მიუკავს ხშირად ტრანსპორტ საზოგადოებაში: მე ხალხს სტრანეიკებს არ ვაგემინებ, მე თვითონა ვგემ, როცა დავიღლება, მხოლოდ მაშინ გადავცემ ხელზე სტრანეიკებს...

აი სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება ერთხელ კიდევ ნათლად ამტკიცებს, რომ გლეხი ამ ფაზად უზატრონია, საკლავად წაყვანილი ხარი, რომელსაც გარს ხორცის მჭამლები სხევიან, მშველელი კი არავინა ჭყავს. ამისვე ამტკიცებს მეორე გარემოებაც. გლეხს სძარცვავენ აშკარად, მოურიღებლად. ყველამ იცის წინა დღით რომელი გლეხს. რომელ სოფელს გადახდევინეს რუსული „შტრაფი“, ქრთმი, „ზრტოკოლის“ ფული. ყველამ იცის რად გადახდევინეს, რამდენი გადახდევინეს და ვინ გადახდევინა. და... არაფერი. ყველა ეს კანონიერ გარდასახდა იქნა. ყველა შეეჩვია როგორც გამტკეპელი ისე გავლენილი.—რა ექნა, ცუდი დღე მოელოდა, რომ ფუფით არ დაეხსნა თავი—იტყვიან და მაშინვე ივიწყებენ.

ერთის სიტყვით სოფელი დღეს შეიქმნა დაზარცებული-დამმხებულ ქვეყნად, რომელსაც გამარჯვებული ბტერი არაფრით არ ზოგავს, მცხვარებლებს უმიზეზოდ ხოცავს, სცემს, აწამებს, არბევს, სძარცვავს, ჭტკლავს და ამით ერთას მხრივ უხდის წარსულს, ხოლო მეორეს მხრივ ჯიბეებს ივსებს.

ამ გვარ სტანჯველში ჭყავს დღეს მთავრობას ჩვენი გლეხობა. ვნახთ ახლა როგორ ექცევა მას დანარჩენი მისი მტრები.

სოფლელი.

(შემდეგი იქნება)

მ ო ჩ ვ ე ნ ე ბ ა

მივდიოდი მარტო ვაჩინისა გზაზე. უცებ ქალი შემხვდა—უცხო სილამაზე. ვით მენავე ვინმე კიდეს მოწყვეტილი, წაღებული ტალღით უბედური შვილი, ძრწის მარტოკა ნავში და არ ეყურება არც ყიყინი შველის, არც ზღვის ხმაურება, აგრე ვიყავ მეცა ქვეყნად დაკარგული. ჩემთვის ერთი იყო, ერთნაირად კრული, უნუგეშო ცა და სევდიანი მიწა. მაგრამ უცებ თითქო შუა გაიფხრიწა თვალზე რომ მეფარა ის ბურუსი ბნელი: ჩემ-წინ ქალი იდგა—სახე მიმზიდველი, იგი იყო ტურფა, ტურებ-მომდიმარი, მის მსუბუქი კაბა—ორთქლის დასადარი;

მან ასწია ნელა თვის შიშველა მკლავი,  
წამოანთო თვალი ისე, ვით ვარსკვლავი,  
და მიბრძანა მშვიდად:— „აი აქედ წადი!“  
ოჰ სამშობლოვ, ეს გზა ჩემთვის იყო ცხადი.

ნეტა ვინ იყო ნარნარი,  
წარმტაცი ჩემის გულისა,  
ირგვლივ შუქისა მფინარი  
შევების და სიყვარულისა?  
რა უნდა ჩემგან, ვინ არი,  
რად მელანდება სულ ისა?  
ნეტა ვინ იყო ნარნარი,  
წარმტაცი ჩემის გულისა?!

დრო გავიდა ბევრი, მაგრამ გასულ დრომა  
გულში ვერ წაჰშალა იმ სახისა კრთომა.  
შრომა შემიკვარდა, მას მივეცი თავი,  
სევდა გამეფანტა, ვით ღრუბელი შავი;  
მაგრამ სამწუხაროდ წინ გადამეღობა  
საკოდავი ძმების სიბრძევე და მტრობა.  
მახსოვს ერთი ღამე: ბნელში მიმალული  
ქუჩის პირად ვიდექ და მითრთოდა გული.  
მე მწყუროდა სისხლი, ხელთ მეჭირა დანა.  
ამ დროს გამოვიდა ახლო სახლიდანა  
იგი... ჩემი მტერი... მე ავწიე ხელი  
და ის იყო— დადგა წაში საშინელი,  
გაიღვა რკინამ მაგრამ ვიღამაცა  
დამიჭირა მკლავი, დანა გამომტაცა...  
ჩემწინ იდგა ტურფა: მე გავშემდი, ვით ხე,  
მაგრამ მის თვალეში ნათლად წავიკითხე  
საყვედური მწველი, — მოკამკამე ნელა:  
„რას ჩაღიხარ, რასა?! თქვენ ძმები ხართ ყველა!“

ნეტა ვინ იყო — წვალეებით  
ჩემი ამ გვარი მგმობელი,  
დამწვარი სევდის ალებით  
ისე, ვით დედა მშობელი?!  
მე მან გამკიცხა თვალეებით  
მომძე გულ-დაუნდობელი.  
ნეტა ვინ იყო — წვალეებით  
ჩემი ამ გვარი მგმობელი?!

დრო გავიდა კიდევ, მაგრამ გასულ დრომა  
გულში ვერ წაჰშალა იმ თვალეების კრთომა.  
ერთხელ, რა რომ ქალაქს მოერია ძილი —  
და რიფების გუნდი საამო და ტკბილი  
ჩამოფრინდა ციდან და ჩემს მაგიდაზე  
გააბნის თვისი უცხო სილამაზე, —  
მე ვერ მოვითმინე და დავიწყე წერა.  
უცებ გულმა მიწყო საუცხოვოდ ჟღერა:  
ჩემწინ სარკე იდგა; რომ ავწიე თავი,  
მასში დავინახე სახე-მობრწყინავი,  
უკან მომპაროდა, თავი დაეხარა

და ჩემს რვეულს იგი ჩასტკეროდა წყნარა.  
ჩაიცინა ტურფამ; — „აჰა, ლექსებს სწერო?“  
„რაქნა— ვუპასუხე— ჩემო მშვენიერო,  
შენდა სადიდებლად, სათაყვანოდ შენდა,  
მხოლოდ ლექსებს ვწერდი, მხოლოდ ეს მალხენდა.  
სხვა რა უნდა მექნა? რალა შემეძინა?!  
მიპასუხა: — „თოფი, მახვილი და რკინა!..“

ნეტა ვინ იყო ნარნარი,  
აგრე აღგზნებულ ბრაზითა?  
გული მას გაჰყვა, დამწვარი  
მისივე სილამაზითა;  
იგი გავიდა მდუმარი  
შუბლზე სევდისა ხაზითა.  
ნეტა ვინ იყო სტუმარი  
აგრე აღგზნებულ ბრაზითა?!

დრო გავიდა კვლავად, მაგრამ გასულ დრომა  
გულში ვერ წაჰშალა იმ სახისა კრთომა.  
გუშინ ბალში შემხვდა — მისკენ დაუჩქარე,  
დავუწყვიტე ვარდი და წინ დავუყარე;  
მაგრამ, რა რომ ტურფამ მიიბრუნა სახე,  
გულნატკენმა ამით სევდით დავიძახე:  
„ვინ ხარ, მშვენიერო? ერთი ამიხსენი.  
დროა მეც გავიგო ვინაობა შენი  
იცი — შენ მაყვარხარ ოცნებამა ჩემმა  
შენ დაგადგა თავზე ტრფობის დიადემა.  
მითხარ, გენაცვალე: თუ მე გეჯავრები,  
რატომ დამსდევ უკან, რატომ არ მომრდები!  
თუ მოგწონვარ ცოტად, თუ კი შეგიყვარდი,  
რატომ არ მიიღე ეს საწყალი ვარდი?!  
მითხარ, რა გსურს ჩემგან? მითხარ, ვინ ხარ, ვინა?!“  
ტურფამ მიპასუხა: „ჩემთა ფერხთა წინა  
უნდა ვარდის არა — თავის დადებოა...  
მე ვარ შენი ქვეყნის თავისუფლებოა!“.

გიორგი გვაზავა.

ქ უ ჩ ა უ ი.

(გუჟღავ გ. ჯ—ს.)

როდესაც წითელი დროშა ავარდა ჰაერში და  
მედიდურად იწყო ფრიალი, ქუჩა ამ დროს წარმო-  
ადგენდა განხორციელებულ სიამაყეს.

ყოველთვის საქმიანი, წყნარი, მშვიდობიანი,  
დარბაისელი, იგი გარდაიქცა შურის მაძიებელ ჯა-  
ლათად დაუნდობელ სტიქიად.. თითქოს მოსწყინ  
და აქამომდე აუტანელი, უმოქმედო, უსიკოცნლო  
ცხოვრება, მობეზრდა ერთ-ფეროვანი უშინაარსო  
სიკოცნლე, — შეინძრა მთელის თავის ძალ ღონით  
და დაიგრგვინვა:

— „კმარა ესოდენ მდუმარება, მოთმინების  
ფიალი აღივსო... მე მეძახიან ქუჩას, გესმით, ქუ-



ჩას, ჩემზეა დამოკიდებული ყოველი კეთილი და ბოროტი, მე უნდა გარდავწყვიტო ყოველ გვარი უკმაყოფილება და უთანხმოება დამყარებული ამ ცოდვილ ქვეყანაზედ... მე უნდა დავამყარო მშვიდობა და სათნოება და განვფანტო გამეფებული ბოროტება.. მიცანით, თორემ გაცნობებთ თავს!“-ო..

— რა მოხდა?... ეს რა ამბავია?... რას, რას მოესწონს და რას იხილვენ ჩვენი თვალები?!.. — გაიძახოდნენ მოხუცნი გაკვირვებით.

ესენი კარგად, ძალიან კარგად სცნობდნენ მშვიდ, წყნარ, დარბაისელ და მუდამ საქმიან ქუჩას. მას ამგვარი თავებობა აქამომდე ჯერ თავის სიცოცხლეში არ მოსვლია და დღეს კი რას მოესწონს? რის მნახველნი იყვნენ?!.. — დაგვიდგა დღე შურისძიებისა!.. შხამად შეგვევრო ესოდენ უმანკო სისხლის წოვა, განვშორდეთ ამ უღმობელ ქუჩას თორემ დღე აღსასრულისა უკვე კარს გვიკაკუნებს! .. — თრთოდნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი, — ყოველთვის სხვისი შრომითა და ოფლით ფუფუნებაში მყოფნი და ძვრებოდნენ ხვრელებში...

ისინი იქ — ჯურღმულში ეძიებდნენ ხსნასა და შეველას. .

ქუჩა კი ამ დროს წარმოადგენდა შემზარავს სურათს. იგი გარდაქცეულიყო გაშმაგებულ სტიქიად და აღელვებულ ზღვასავით ბობოქრობდა. მთელის თავის არსებით, შურის ძიებით გამსჭვალულიყო, გამწარებულ განრისხებული შხამს ანთხევდა და უღმობელად ნთქავდა რაიცა წინ ეღობებოდა და ან გაბედავდა ვინმე მის თავისუფალ თარეშის ხელის შეშლას.

მას ბანს აძლევდა წყნარი, მშვიდი, უმანკო ნიავი, დაბადებული ადამიანის ბილწ ხელ-შეუხებელ მთებსა და ღრეებში. მას ეს შემზარავი, შემადრწუნებელი ხმა ბრახილად მიჰქონდა შორს, შორს, სადაც ბუდობდნენ ტვირთ-მძიმენი და მაშვრალნი, და იქ, ტყე-ღრეში ჩუმად, ფარულად მოუთხრობდა დაწვრილებით სანეტარო და გულის მოსაღბობ ამბებს.

უხსოვარ წელთა განმავლობაში წელში მოხრილნი ტვირთ მძიმენი და მაშვრალნი მოწიწებით ყურს მიაპყრობდნენ მშვიდ და უმანკო ნიავის ცეცხლებს მგზნებარე, აქამომდე მათთვის ჯერ უცხო, ჯერ ყოვლად გაღებარს ნაუბარს... ყოველი მის ბაგეთაგან წარმოთქმული სიტყვა ტკბილ ნექტარავით უვლიდა მთელს არსებაში, სამუდამოდ ღრმად ემარხებოდათ მრავალ-ტანჯულ და განაწამებ გულში და ერთის აზრით, ერთის მიზნით გამსჭვალულ-გატაცებულნი მიეშურებოდნენ თავის წმიდათა-წმიდისკენ, თავის მაცხოვრებელ და მხსნელ ქუჩისკენ...

დუხჭირ ცხოვრებისაგან დანაოკებული შუბლი გაეხსნათ და შარავანდელსავით გასტუმრდნენ საუკუნოებით მოხრილი წელი გაემართათ, მიწაში მაკცქვრალი თვალები ღვთიურ ცეცხლებსავით აღნთოთ და მლად შურის-ძიებად გარდაქცეულნი მიიწრაფოდნენ!...

- შორს ჩვენგან, მაცდურო, სიბნელეც!..
- დღეს ჩვენ თვალი აღგვეხილა!..
- დღეს ვსცანით ჩვენი მტერი და მოყვარე!..
- ძირს მონობა!..
- ქუჩა გაჭირვებაშია!..
- ქუჩა გვთხოვს შეველას!..
- ქუჩა მოითხოვს ჩვენს სისხლს თავისუფლების სამსხვერპლოზე შესაწირად... — სიკვდილი მტარვალს!..
- გაუმარჯოს სინათლეს!..
- გაუმარჯოს დიდებულ ქუჩას!..

ტვირთ-მძიმენი და მაშვრალნი ერთის აზრით, ერთის მიზნით გამსჭვალულნი მიეშურებოდნენ ქუჩის სახსნელად...

უნდა დახმარებოდნენ გაჭირვებაში მყოფ ქუჩას. ხელში ზოგს შეამჩნევდით ცუღს, ნაჯახს, წალდს, ბარს, ნიჩაბს, კეტს... მიეჩქარებოდნენ წინ და რაიც წინ ეღობებოდათ — მუსრს ავლებდნენ დაუნდობლად...

ქუჩა კი ამ დროს საშინელებას წარმოადგენდა... იგი გარდაქცეული იყო აღშფოთებულ, აზვირთებულ ზღვათ, შემზარავ სტიქიად და ბობოქრობდა... იგი არავის ინდობდა... არც დიდს, არც პატარას, არც ძლიერ და ამაყს, არც ქვემძრომს და მლიქვნელს... ყოველივეს მუსრს ავლებდა, რაიც მის თავისუფალ მოქმედებას წინ ეღობებოდა, ხელს უშლიდა...

საშინელი კენესა — მუდარა, შეზავებული სტიქიის გრგვინვა — ქუხილთან ერთად გაისმოდა ჰაერში, თითქოს ზეცას სთხოვდა შეველას... გვამთა ხროვები ერთი-ორად ამშვენებდნენ მის ბობოქრობას... ადამიანთა სისხლი ნაკადულებად გარდაქცეულნი, უერთებოდნენ მდინარეებს და საამურად ღებავდნენ...

წითელი დროშა კვლავ მედიდურად ფრიალვებდა ჰაერში... ზოგს შიშის ზარსა სცემდა და ათრთოლებდა ხვრელებში, ზოგს კი იმედს აძლევდა, ამხნევებდა და მატებდა ძალ-ღონეს საბრძოლველად.

ამ დროს ქუჩა დიდებული და შეუდარებელი იყო...

ყოველი მისწყდა... მღუმარებს.

— მოლლილ მოქანცული ქუჩა განისვენებს, რათა შემდეგ, მომავლისთვის კვლავ შემოიკრიბოს

ძალ-ლონე, კვლავ მრისხანედ აბობოქრდეს, კვლავ აზვირთდეს და რაც უთანასწორობაა დამყარებული ამ ქვეყნად, — წარბოცოს ძირიანფესვიანად.

სისხლით მოთხერილი წითელი დროშა აღმოსავლეთისკენ, ცის კიდურში შთანთქმული მხსნელ შარავანდედად გამოიყურება. იგი მფარველ ანგელოზსავით დასცქერის ტვირთ-მძიმეთ და მაშვრალთ, უგზავნის სიმხნევებს, აძლევს ძალ-ლონეს და ასწავლის ვაჟკაცურად თავის დადებას, თავისუფლების სამსხვერპლოზენდ...

ძლიერთ და ფუფუნებაში მყოფთ-კი მრისხანედ უცქერის, მშვიდობიან განსვენებას უბრთხობს და თავ ზარს სცემს...

წყნარი, მშვიდი, უმანკო ნიაფი კვლავ ეაღერსება ტვირთ მძიმეთ და მაშვრალთ, იგი ყურში ჩასძახის სანეტარო, გამამხნეველ სიტყვებს, კვლავ ამზადებს მომავალ სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის და დაკოდით — დაწყლულვებულ, მრავალ ტანჯულს გულს შვებას აძლევს...

ალიონი

ქ. ჩელიაბინსკი.

ორი სურათი.

ერთხელ გიხილე, ტურფავ, მიჯნურთან სინარულითა ხარბად სტკებოდით: ბაღში, მახლობელ ბუჩქთან მჯდომარე, ერთგულობასა ეფიცებოდით. მიჯნურის მკერდზე გეპოვნა ბინა, ვნებით აღსავსე მის შესცქეროდით, გამწილი ვარდი გეკაფა ხელში და ბედნიერი ზედ დამდეროდით...

კვლავად გიხილე იმავ ადგილას, მოუთმენელად მიჯნურს ელოდი, მაგრამ იგი „მზე“ არსით მოსჩანდა და უბედური მწარედ სტიროდი. შენს უბედობას მის ორგულობას, შენ ბედის მოწმე ბაღს შესჩიოდით! — იგივე ვარდის შტო გეკაფა ხელში — დამქნარს, გამხმარსა ზედ დასტიროდი...

გრი - გრი.

თავის გატყუა სჯოგია-სახელის გატყუას.

შენიშენა შენიშენაზედ

(მდაბიო მკითხველთა ურდასადები)

ისეთი უაზროთ გადმონასროლ ტლახზედ-პასუხის გაცემას, როგორითაც ვაგვიმ-სპინძლდა, ჩვენ გაზ. „მერცხალის“ მე-10 ნომერში, „მკითხველის შენიშვნები“-ს ავტორი, სხვა დროს მეტ ბარგათ მივიმჩნევდი, მაგრამ დღეს კი (საქ-

მის არა ჩვეულებრივი მდგომარეობისა გამო) კიდევ უფლები ვხდები პასუხი გავსცე ამ გვარ ციერებით აღსავსე საქმე ელს და მით თავიდან ავიცილო მდაბიო შოთხველთ-განგებნი ამბნევ ისეთ ქსელში ვახვევა, რომელსაც ასე გაფაციცებით ქსოვენ და უკიდებენ მკითხველთა დასაჭერათ, „შენიშვნების“ ავტორისთანა ღისების მწერლები. — შემოხსენებულისა ავტორის მისწრაფებაა, სხვა და სხვა ქვენა მოსაზრებით, ჩემი მავნე პირათ გამოყვანა მკითხველთა წინაშე. ჩემი მიზანია: ამ გვარ ცბიერებათა და ქვენა მოსაზრებათა საქვეყნოთ გამოაშკარავება. ვისაც ჩემი ნაწერები წაუკითხავს, ან ვინც ჩემს მოქმედება-მისწრაფებას პირადათ იცნობს, იმათთვის მეტია იმის მტკიცებაც, თუ რაოდენ სიყალბეს და უმართებულობას ჩადის ჩემს წინაშე „შენიშვნების“ ავტორი. და თუ ამაზედ მაინც მიხდება აქ ლაპარაკი, ეს მხოლოთ იმ პირთა თვალების ასახელათა, რომელთაც არ ქონიათ შემთხვევა გასცნობოდენ ჩემი წიგნაკების დედა-აზრს და ამასთანავე არც მე მცნობენ პირადათ. ამ ოთხი ხუთი წლის წინეთ მე უკვე ავღნიშნე ის სამწუხარო მოვლენა, რომელიც დაეტყო განმათავისუფლებელ მოძრაობას — დაწყებისა თანავე. ერთი ასეთ სამწუხარო მოვლენათაგანს (მოძრაობის დროს) სოციალისტთა და მებრძოლთა სახელიც — „ძმა-ბიჭებთა“ გამრავლებაც ეკუთვნოდა; ამ უკანასკნელთა გაჩენა-გამრავლებას ხელი შეუწყო, სხვათა შორის, მომქმედ პარტიათა განდიდება — გაბატონების სურვილმაც. იმათმა განდიდებისადმი მისწრაფებამ გზა გაუხსნა ყალბ თეორიულ მსჯელობას, მატყუარობას. ხოლო გაბატონების სურვილმა კი წარმოაშვა ყველა ის ძალ-მომრეობა და ქურდობა-ავაზაკობა, რომლებსაც ასე ღრმათ გაუშვია თავიანთი ფესვები სოფლათ. საზოგადოთ. თუ რა ღრმა ჭრილობა დაასვა განმათავისუფლებელ მოძრაობას „ძმა-ბიჭების“ გამრავლებამ და მათმა მოუფიქრებელმა მოქმედება-საქციელმა და ან რანაირად გავარა თავიანთი უხელობით თვით ის პარტიაც კი, რომლის ნდობა მფარველობის ქვეშე თვითონ მოიმარჯეს წელი, ამას დღეს (გარდა თითო ოროლა გადაკრებულ-გადაკაჭებულისა) ყველა კარვად ვხედავთ და ამიტომ მასზედ ლაპარაკიც მეტათ მიმაჩნია. ამ წერილის მიზანი — მეორე, პირველზედ არა ნაკლებ, სამწუხარო მოვლენის აღნიშვნაა, ჩვენდა სამწუხაროთ და სავალალოთ ხსენებულის „ძმა ბიჭთა“ მოღვაწეობა დღეს პრესაშიაც იკიდებს ფეხს! და ეს ხომ მწიფნობრობის და ჟურნალ-გაზეთობის გავრცელების საქმეში იგივეა, რაც ახლად ამოხულ მცენარის ზრდისათვის — მატლი. ჩემის აზრით, როგორც განმათავისუფლებელ მოძრაობის „ძმა-ბიჭებმა“ თავიანთ „ძმა-ბიჭურის“ საქციელით დასცეს და აღგავეს მშრომელ ხალხთა უმეტესობის გულში ამავე მოძრაობისადმი ნდობა და თანაგრძნობა, ისე ეს პრესის „ახლად მოვლენილი“ „ძმა-ბიჭებიც“ დასცემენ და დაუკარგავენ ჟურნალ-გაზეთობას (უმეტესობის თვალში) ყოველ გვარ აზრს და მნიშვნელობას. ერთი ასოის ვაუ ბატონები — კარგი ხანია, რაც ჟურნალ-გაზეთებს — თავიანთი ჟინის დასაკმაყოფილებელ იარაღათ უყურებენ: მკითხველთა თვალში უდანაშაულო ადამიანის დამცირება და სხვისი უფლების ფეხ ქვეშ გათელვა — ჩვენებურ ჟურნალ-გაზეთებში მოღათ გარდაიქცა! ამას ზედ დაერთო გასვრილი ადაპიანისგან — გაუსვრელი ადამიანის გასვრა. პრესისევე საშუალებით \*) შემოხსენებულმა „ძმა ბიჭურმა“ მო.

\*) ასეთმა სისაძაგლემ სოფლათაც იჩინა თავი: ოთხმა თუ ხუთმა ქურდებმა ერთათ უღელი ხარი მოჰპარეს ერთ თავის მეზობელს. შემდეგ ერთმანეთს მოწმებათ დაუდგენ და ეს ქურდობა ხარბეს პატრონის მოყვარე მოხუცებულ კაცს მოახვიეს თავზედ, თუ საითკენ მიეყვებოთ ამ გვარ გაზრწნილებას კაცს მკითხველიც ადვილათ მიხვდება...

დღაწეობამ წარმოშვა კალმოსნები პრესაში, რომლებიც თავიანთ სიყალბეს და ცბიერებას ხშირათ სრულიათ უდანაშუალო პირს ახვევენ თავზედ და რომ ასეთი ხრიკები მკითხველმა ვერ შეუტყოს, ვერ დაინახოს, „ფსევდონიმს“ აფარებენ თავს. ასე, რომ „ფსევდონიმს“ დღეს პრესის „ძმა-ბიჭები-სთვის“ ისეთ უჩინარ თავ-შესაფრათ არის გარდაქცეული, რომლიდგანაც თავისუფლათ სტყორცნიან გამვლელ-გამომვლელთ თავათ იმ ტალახს, რომლითაც თვითონ ბრძანდებიან ძალაზედ გასაღები. ერთი სიტყვით, თავიანთი ცბიერების სხვისათ გასაღება; გაუსვრელი ადამიანის განძრახ გასვრა და ამ-ვე დროს თავიანთი ზნეობრივ-გონებრივი სიღუბეების „ფსევდონიმს“ უკან ამოფარება, აი ყველა ის, რითაც დღევანდელი პრესის „ძმა-ბიჭები“ ცდილობენ მდაბიო მკითხველთა გონების დაბნელება-დაჩაღუნებას და პრესის გათახსირებას. სხვებთან ერთათ, ჩემი დაუმსახურებლათ და ყოვლად უდანაშაულათ დამცირება მაფიქრებინებს, რომ ერთ ამ გვარ კალმოსანს „მკითხველის შენიშვნები“-ს ავტორიც უნდა ეკუთვნოდეს. და რადგანაც ჩემი მიზანი ყოველთვის სიკრუე-სიყალბის გამომჟღავნება იყო და არის, — თავის დროზედ, ამიტომ მეც ამ ვაჟბატონიდან განძრახ შეთხზულ სიტყვის გამოაშკარავებას შეუდგები. ს.-დ. გ.ზ. „მერცხლის“ მე-19 ნომერში ეს პირი აცხადებს რა ჟურნალ „განათლებას“ სრულიად დაუმსახურებელ \* ) „პრეტენზიას“ ასე ათავებს თავის შესანიშნავ შენიშვნას: „აღნიშნულმა რედაქციამ (ე. ი. განათლებამ) კარგად უნდა იცოდეს, რომ სერიოზულ მეცნიერულ ჟურნალს არ მიეტივება ის, რასაც ყოველ დღე გაიძახიან და ქუჩური ლიტერატურის შექმნებით კადეც ავტორებზედ ისეთი პირები, როგორც არიან მაგალითად: ბ.-ნი გუნია, ხეობელი, აკობია, ართმელაძე და ძმანი მათნიო“.

ბ.-ნი გუნია, ხეობელი და აკობია სხვის აპეკუნობას არ საჭიროებენ და ამიტომ მე თავის მხრით მინდა შევეკითხო. „შენიშვნების“ ავტორს: სად და ან როდის მნახა მ-ნ, რამ მე ხალხში დაეკვრებოდი და რადაც მიუტოვებელ აზრებს ვავრცელებდი? თუ გვანახა, ერთი ასეთი ადგილი მაინც დაგვსახელოს. თუ არ უნახვიართ, მაშინ რატომ დასჭირდა მას ასეთი ურცხვი ცილის წამების შეთხზვა? ვეკითხები, თვითონ აქვს წაკითხული ის, ჩემი წერილები, რომელსაც იგი ქუჩურ ლიტერატურას უწოდებს, თუ არა? და თუ აქვს, რათ არ მოიყვანა ერთი ისეთი წინადადება ამ წიგნებიდან, რომელიც ამტკიცებდეს „ან ჩემი კერძო ინტერესის დაცვის სურვილს, ან და რომელიმე პროგრესიულ პარტიის სიძულვილს? დაგვისახელოთ: რა ნახეთ ჩვენს მოქმედებაში და ნაწერებში თქვენ ისეთი, რაიც ეწინააღმდეგებოდეს მშრომელ ხალხთა ინტერესების მცველად ადამიანის მისწრაფებას? მაგრამ... ვის ვეკითხები... განა თქვენისთანა კრიტიკოსებს სინამდვილის გამოკრევეა და სამართლიანობის აღდგენა აინტერესებს? სრულიადაც არა. თქვენი სურვილია თავის სიღუბეში მარკას (ფსევდონიმს) ამოაფაროთ და იქიდან ჩვენ გეტყორცნოთ და გეტყორცნოთ ტალახი. რატომ? — იმიტომ, რომ მდაბიო მკითხველთა თვალში მანვე პირათ გამოგვიყვანოთ, გავგვაროთ, დავგამდაბლოთ და მით როგორ ჩემს ნა-

წერებს, ისე ჩემს ფაქტურ მოქმედებას — მისწრაფებასაც ხალხში გასავალი დაუკარგოთ. მაგრამ ანგარიში შეგეშალათ, სწორეთ აზგვარი განძრახ შეთხზული ცილის წამება-სამართლიან დაარწმუნებს ჩემს ნაცნობებს იმაშიდ, თუ რა ცბიერების პირები ასეთი შენიშვნები და რა ჯურის ბრძანდებიან მათი ავტორები. ხოლო თქვენ თუ იმ მკითხველთა დაბნევის იმედ გაქვთ, რომელთაც ჯერ ჩემი წიგნები არ წაუკითხავთ, იმ შემთხვევაში, ნურას უკაცრავად, თუ მე ამ უკანასკნელთა საყურადღებოთ, ავალაპარაკებ თავათ იმ ნაწერებს, რომლებსაც თქვენ ასე თამამათ ქუჩურ ლიტერატურას უწოდებთ. დეე, ამათაც გაიგონ, თუ რაოდენ სიყალბეს ჩადიხართ თქვენ მკითხველთა წინაშე და რა უმართებულოთ მოგინდომებით ჩემი მათ წინაშე დაბეზდება. მაშ, დავიწყოთ: კიდევ განმათავისუფლებელ მოძრაობის ცხადდ გამოაშკარავებამდის, ჩვენებური ჟურნალ-გაზეთები (ნამეტნავად „კალი“ და „ივერია“) გონიერული შენიშვნების და კრიტიკის მაგიერ, პირადეული ინტერესებით გამოწვეულ კამათით, ერთმანეთის ლანძღვა-გინებით და ცილის წამებით იყო სავესე, რაიც იმ დროს განმთახსირებელ გავლენას ახდენდა ახალ ფეხადგმულ მკითხველებზედ. ხშირათ ამ უკანასკნელთ ასეთი საქციელი ჟურნალ-გაზეთების საერთო თვისებათ მიიჩნდათ.

ზემოხსენებულ ლანძღვა-გინებას „კრიტიკას“ უძახოდა და ამიტომ მე ვსწერდი ჩემი წიგნის მე-34 გვერდზე (იხილეთ „ბრძოლა პრესასა და საზოგადოებაში შეპარულ შეცდომანაკლულოვანებასთან“) შემდეგს: კრიტიკა არის ისეთი რამ იარაღი, რომლის შექმნათაც კრიტიკოსი სდევნის და ანადგურებს ყველა იმ არასასურველ შეცდომანაკლულოვანებას, რომელიც თავისთავათ ასუსტებს ამა თუ იმ მოქმედება მისწრაფების ნაყოფიერებას, მიმართულს ხალხთა საკეთილდღეოდ. მისი (ე. ი. კრიტიკის) მიზანია: გამოაცალოს ხელიდგან მოქმედ პირს ყველა ის შეცდომანაკლულოვანები, რომლებსაც ის ვერ ამჩნევს თავის მოქმედება-მისწრაფებაში... დააყენოს ის სწორ და უტყუარ გზაზე და მით გაუადვილოს მათ ყოვლგვარ კეთილ მისწრაფებაში წინსვლა, რათა ამით დააჩქაროს მოლოდინე ხალხთა მდგომარეობის განკარგება-გაუმჯობესება... ერთი სიტყვით, კრიტიკა არის ფაქტურად მოქმედ ადამიანისთვის თავათ ის, რაც ნავში მჯღომ მეზღვაურისთვის კოშკასი (ყუბლანა) და ნახაბი. ერთით ის სწორ და უტყუარ გზას იკვლევს და მეორეთ კი, თვით ამ ნავის მსვლელობას აჩქარებს... და ამიტომაც დროა, დრო უკვე დავგმომ მწერლობაში შემოპარული უკუღმართობა, წამოვაყენოთ მართლ-მსჯელობა და მით წელი გაუმავროთ ხალხისთვის ნამდვილ გლუმბატკივართა მოქმედებას-მეთქი და სხ... აი, ასე მესმოდა მაშინ და ასე მესმის დღესაც მე „კრიტიკის“ დანიშნულება და ამიტომაც ვცდილობდო, რომ ეს მნიშვნელობა მდაბიო მკითხველისთვისაც შემეგონებინა. თავათ ამისთვის ვებრძოდი მე მაშინ კრიტიკას და საზოგადოთ მწერლობის ყველა გამყალბებელ მოქმედება-საქციელს. და ვებრძოდი სწორედ იმიტომ, რომ მომავლისთვის ამ სიყალბისგან აღარ წარმოშობილიყვნენ ისეთი კალმონები, როგორც ბრძანდებიან „შენიშვნების“ ავტორისთანა პრესის „ძმა-ბიჭები“, მაგრამ ვერას გავხდით. აჰ, უკვე ხუთმა წელმა განვლო მას აქეთ, რაც ჩვენ ეს წიგნი დაწვწეთ და დღეს გამოსულა ამ ჩვენგან აღნიშნულ სიყალბის ღვიძლი შვილი და ქუჩურ ლიტერატურათ ნათლავს ყველა იმას, რაც კი სიყალბის, დაუდევრობის და მატყუარობის წინააღმდეგ არის მიმართული!!

\* ) დაუმსახურებელია მით, რომ სიმართლის აღნიშვნა მეცნიერულ ჟურნალს ღირსებას მატებს და არა აკლებს და რომ მასში მოხსენებული სიმართლე არ არის, ეს არაფრით არ დაუმტკიცებია „შენიშვნების“ ავტორს და ვერც დაამტკიცებს თავის დღეში.

ტ. ართმელაძე.  
(შემდეგი იქნება).

ქართული ხელოვნება.

ნუ თუ?



ვასილ აბაშიძე.

ქართულ თეატრის დამსახურებული და ნიჭიერი მსახიობი, რომელიც მძიმე ავადმყოფობის გამო პიატიგორსკში გაემგზავრა სამკურნალოთ.

ივანე გიორგის ძე მაჩაბელი.

ამ ათი წლის წინედ, ივნისის 26 1898 წ. უგზო-უკვლოთ დაიკარგა ერთი საუკეთესო საზოგადო მოღვაწე და ნიჭიერი პუბლიცისტი ივანე გიორგისძე მაჩაბელი, ჯერ კიდევ ახალგაზნად, 44 წლის, ჯანდონით აღსავსე და მაღალის იდეალებით გამსჭვალული მეტრძოლი და მოამაგე ქართველთა ინტერესებისა.

ივანე მაჩაბლის შრომამ და ღვაწლმა ოცი წლის ვან-მელობაში ქართულ მწერლობაზე და საზოგადო ასპარეზზე ისეთი ფხიზელი ხანა შექმნა ჩვენს უფერულ ცნობრებაში, რომლის მსგავსი არც ერთს საზოგადო მოღვაწეს არ რგებია წილად.

ივანე მაჩაბელი ყოვლად სრული—განხორციელებული ტიპი იყო ევროპიელი მუსიკა-მოღვაწისა: დაუცხრომელი, გულწრფელი, თავგამოდებული, უშიშარი, პატიოსანი, შეუდრეკელი და მრავალ ნაყოფიერი დარაჯი და პროგრესიული მოამაგე ქართულ ეროვნულ ინტერესებისა ყოველსავე ცხოვრების დარგში და სასარგებლო საზოგადოებურ დასაწყისში.

ვანო მაჩაბელის როგორც მრავალ მხრივად ნაყოფიერი ცნობრება აგრეთვე მისი უცნაური, ზღაპრული დაკარგვა ისტორიას ეკუთვნის.

როს მწარე კვნესა სულოს, მიძფუთებს და შავი ბედი ცრემლს მათრქვევინებს, მაშინ ვგ სახე რა მაგონდება, მყისვე ნაღველი გულის მიქარწყლდება. შენ თვალითა სხივნი ბნელს მინათებენ და შეწუხებულს სულოსა აღხენენ!..

ხან სიზმრად გხედავ, — გეალოერსები: შენც ფიცსა მადლევ რომ გეყვარები! მაგრამ, ძვირფასო, სიზმარი ჰქრება და მოგონება მხოლოდლა მრჩება. ნუ თუ შენს ალერს ვერ ველირსები ისე ბნელს საფლავს დავირმახები?! ა. შ—ლი.

ბუსალის სიზმარა.

(მ. გარკვიდან)

მზე ამოდის, ისევ ჩადის, ჩემს საკანში მუდამ ბნელა; მხოლოდ მცველი, გულის მკვლელი, დასეირნობს გარე ნელა... როგორც გნებავთ, მიდარაჯეთ მე ისედაც ვერ გავქრები, ძლიერ მინდა მე გაქცევა, მაგრამ მიჭერს ბორკილები.. საზიზღარო ბორკილებო, თქვენგანა ვარ დადაგული, ვერ დაგვლიჯავთ, ვერ დაგამსხვერვთ, და მით კვდება ჩემი გული..


ვარლამ.

ფული-ქონება.

თუ გაქვს ბევრი ფულები, სიმდიდრე და ქონება, მაშინ ყველას უყვარხარ, ყველა შენ გემონება. ყველა ღმერთად დაგსახავს-შეიქმნები ცხოვნება და ფეხქვეშ გაგეშლება გრძნობა, აზრი გონება ა. თალაკვაძე.

მეზობლებს

დაშნაკელი, ჰინჩაქისტი ახლა ყველა არის ჩისტი! აკი, გკონდათ ბლომით ბისტი რაღათა გკრეს, აბა, ქისტი?! რო ბევრი გყავთ ფულიანი, დიდრონ-დიდრონ მუცლიანი, მდიდარი, მამულიანი ბევრიც კარგი გულიანი?! ახლა ფულით რა არ ხდება — ავი კეთილათ გახდება... მაგრამ სულით კი წახდება, და ჯოჯოხეთში ჩახტება... არ გაიდეს თქვენთვის ფული?... შეარცხვინეს ამით რუჯული... აი, წაწყდეს მათი სული, მათ ხსენება იყოს კრული... თომა პუსა.



შ ა რ ლ შ ვ ი ლ.



მათხოჯის კოოპერატიული ამხანაგობა.

უდიდესი მემუისიკე და კომპოზიტორი საფრანგეთისა დაიბადა 1818 წ. 5 ივლისს და გარდაიცვალა 1893 წელ. 7 ოქტომბერს. ასე რომ წელს შესრულდა მის დაბადებიდან ოთხმოც და ათი წელიწადი და გარდაცვალებიდან კი ხუთმეტი. შარლ გუნოს მუსიკალური ნაწარმოები ოპერა „ფაუსტი“ ცნობილია მთელს დედამიწის ზურგზე, როგორც ერთი საუკეთესო და პოპულარული ოპერა. „ფაუსტი“ დაწერილია ამ ოპერადა ათი წლის წინედ და პირველად დადგმულ იქმნა პარიზში 1859 წ. 7 აპრილს. გუნოს სხვა ოპერებიც აქვს, მაგრამ „ფაუსტისთანა“ არც ერთი არ არის. გუნო თერამეტი წლისა იყო, როცა პარიზის კონსერვატორიაში შევიდა, მანამ კი შინაური სწავლა-განათლება ჰქონდა მიღებული. მერე მთავრობამ იტალიაში გაგზავნა და იქ სწავლობდა მუსიკასა. ოთხი წლის შემდეგ დაბრუნდა. დიდ ხანს ცდილობდა რომ გზა გაეკვლია, მაგრამ ვერას გახდა. მისმა პირველმა ოპერამ „საფომ“ 1851 წელს დადგმულმა ყურადღება დაიმსახურა, მაგრამ არც ისეთი დიდი ზედ გავლენა ჰქონია საზოგადოებაზე. მაგრამ „ფაუსტმა“ ავტორს ერთბაშად სახელიც შექმინა, შეძლება-ქონებაც და დიდებაც. „ფაუსტი“ ქართულად ნათარგმნია და წარმოდგენილი კიდევც.

**მათხოჯის მომხარებელთა საზოგადოება**

თუმცა ამ ბოლოდროს საკმაო დაიწერა მომხმარებელ და მწარმოებელ ამხანაგობების შესახებ თეორეტიულად ამ საკითხის შესახებ ბევრი რამ გამოირკვა, მაგრამ სამწუხაროდ ასეთ ამხანაგობების საქმე პრაქტიკულად ძალიან შეფერხებულია. მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენს ქვეყანაში კოოპერაციების საქმე უნდა კარგად მოწყობილიყო, თუ კი ინიციატორები და ხალხის გულ შემატყვივრები თავს იდებდნენ და ხალხს დაეხმაროდნენ კოოპერაციების მოწყობა-ხელმძღვანელობაში.

დღემდე რეაქცია, გარეგანი თუ შინაური, სულს გვიხუთავს და ასეთი რამ როგორც კოოპერაციები ძნელი მოსაწყობია, როგორც ყველა საზოგადო საქმე და მით უმეტეს ასეთს მომხმარებ-

ბელი და მწარმოებელი ამხანაგობანი საქიროებენ მცოდნე, გულწრფელ და პატიოსან მუშაკებს, ხოლო ეს უკანასკნელნი კი ჩვენ ნაკლებად მოგვეპოება იქ, სადაც ისინი უფრო საქირონი არიან — სოფლად. აკერ რამდენი ხანია ერეკებიან სოფლიდან მის შეგნებულ ნაწილს და ამის შემდეგ განაგასაკვირველია, რომ კოოპერაციების საქმე კუს ან კიდევ იმაზე უფრო ნელის ნაბიჯით მიდიოდეს! მე მინდა მკითხველებს ვაუწყო ცოტა რამ ს, მადხოჯის (ქუთაისის მაზრა) მომხმარებელთა საზოგადოების შესახებ.

ეს საზოგადოება დაარსდა ამავე სოფლის მასწავლებლის ლაერენტი ჩიმაკაძის თაოსნობით 14 მარტს 1899 წელს. მიზანი საზოგადოებისა, როგორც დამტკიცებულ წესდებიდანა სჩანს ისა ყოფილა, რომ თავის წევრებისათვის მოეწოდებინა სხვა და სხვა სახმარი და საოჯახო ნივთები რაც შეიძლება იაფ ფასად საზოგადოების ყოველს წევრს მოგებაში წილი უდევს. მაგრამ საზოგადოებას მიზნად აქვს გარდა მატერიალურ დახმარებისა, აღმოუჩინოს ყოველგვარი ზნეობრივი დახმარებაც. ამის გულისათვის საზოგადოება მართავს სახალხო კითხვებს, შეუძლიან გამოსცეს სახალხო და სასარგებლო წიგნაკები და სხვა.

აქედან ნათლად სჩანს, თუ რა დიდი სარგებლობა შეუძლია მოუტანოს ხალხს მომხმარებელმა ამხანაგობამ. იაფ ფასად აწვდის თავის წევრებს ყველა საქირო ნივთებს და ამით საშუალებას არ აძლევს მეფახზე ვაჭრებს ტყავი გააძროს მშრომელ ხალხს.

საზოგადოების საშუალებას შეადგენს სააღებ-მიცემოდა სათადარიგო თანხები. სააღებ-მიცემო

თანხა თანხა შესდგება შესასვლელი გადასახადისაგან, საწევრო ფულისაგან და იმ სესხისა, რომელსაც გამგეობა იღებს საზოგადო კრების მიერ განსაზღვრულ რაოდენობით. შესასვლელი ფული ათი შაურია, წილის ფული ერთი თუმანი. ერთ წევრს შეუძლიან რამდენიმე პაი შეიძინოს მხოლოდ არა იმაზე მეტი, რასაც განსაზღვრის საზოგადო კრება. სათადარიგო თანხას შეადგენს საზოგადოების აპერაციების მოგებისაგან ყოველ წლიურად გადადებული ფული, გაყიდული წესდებებისა და წიგნაკების ფასი, კაპეიკების ნაწილები, რომელიც მოეკვეცება მოგების დანაწილების დროს და შემთხვევითი შემოსავალი სათადარიგო თანხიდან შეიძლება დაიხარჯოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებას მოუხდება მოულოდნელ ზარალის დაფარვა.

ზარალის დროს თვითეული წევრი პასუხს აგებს მხოლოდ იმ ფულით, რომელიც საზოგადოებაზე ითვლება. გარეშე ამ ფულისა წევრი პასუხს არ აგებს. თუ უკეთუ წევრმა მოისურვა საზოგადოებიდან გასვლა, იმას საზოგადო კრების გადაწყვეტილებით მიეცემა ის თანხა, რაც შეტანილი აქვს, აგრეთვე მოგებაც.

საზოგადოების საქმეს განაგებს საზოგადო კრება და გამგეობა. გამგეობა, შესდგება სამი წევრისაგან და სამი წლის ვადით არიან არჩეულნი. საზოგადო კრების შემდეგ გაშვება არის უმთავრესი გამგე საზოგადოების საქმეებისა. გამგეობა აწარმოებს ანგარიშებს და დავთრებს ყოველ წლიური კრებისათვის აღგენს ანგარიშებს, უდგენს მომავალა წლის გეგმას და სხვა.

მოკლედ ეს არის მიზანი და შედეგნილობა ამხანაგობისა, თუ როგორ განვითარებულია საზოგადოების საქმეები ამის შემდეგი ციფრებიდან შევიტყობთ.

როგორც ზევით იყო ნახსენები საზოგადოება 1899 წ. 14 მარტს დაარსდა. პირველად მარტო 48 წევრი შედიოდა და ამათი თანხა 750 მანეთს შეადგენდა. საზოგადოებანობაზე იყო დამყარებული. ხოლო 1903 წ. 12 მაისიდან საზოგადოების წესდება დამტკიცდა და ამის შემდეგ ამხანაგობის მოქმედებაც ამ წესდების თანახმად ხდებოდა. საზოგადოების წევრთა რიცხვი მეტად მატულობდა. თუ პირველ წელიწადს 48 იყო, 1900 წელს ეს რიცხვი 69 იყო. 1901 წელს 154, შემდეგ 180, 192 და 1905 და 6 წლებში წევრთა რიცხვი 200 აღიოდა. შემდეგ ცოტა იკლო. უნდა აღვნიშნოთ აქვე, რომ კახაკების შემოსევამ 1906 წლის 2 თებერვალს და აგრეთვე ზოგიერთა „სოციალისტების“ ქადაგება

იმის შესახებ, ვითომ კოოპერაცია ბურჟუაზიული დაწესებულებაა და როგორც ასეთს უნდა შეფარდოლოთო, დიდი ზარალი მიაყენა საზოგადოებას საქმეებს. კახაკებმა სულ დაფხრიწეს ანგარიშის წიგნები, ასე რომ 1904 წლის ანგარიშები დღეს აღარ არსებობენ. ცრუ ქადაგების მეოხებით ხალხს ნისია აღარ შემოქონდა და ამასთან ნაკლები ინტერესითაც ეკიდებოდა საზოგადოების საქმეს.

საზოგადოებას ზარალი არა ქონია. პირიქით დაარსების დღიდან 1908 წ. პირველ იანვრამდე საზოგადოებას ყოველთვის რჩებოდა წმინდა მოგება. 1900 წ. დარჩა წმინდა მოგება — 298 მანეთი 29 კაპ., 1901 წ. 1178 მანეთი და 18 კაპ. შემდეგ სულ მატულობდა. და 1906 წელში წმინდა მოგება იყო 1613 მანეთი და 73 კაპეიკი. ხოლო 1908 წელს 389 მანეთი 75 კაპ, საზოგადო კრიზისია და უქველია ამითაც უნდა აიხსნას ის, რომ წელს ასე დაიკლო მოგებამ.


საზოგადოებას 1900 წლიდან დღევანდლამდე შესვლია საწევრო ფული 27335 მანეთი და 57 კაპ. წმინდა შემოსავალი დარჩენია ამავე წლის განმავლობაში 8353 მანეთი და 24 კაპეიკი. ამაში არ შედის 1904 წლის ანგარიშები, რადგანაც კახაკებმა მოსპეს იგინი და იმათ აღდგენა დროსა და შრომას თხოულობს.

მთელი თანხა, საზოგადოებისა, შენობები, საქონელი, წმინდა მოგება და სხვა უდრიდა 1900 წელს 3806 მანეთს და 26 კაპ. 1906 წელს მთელი ქონება უდრიდა 16407 მანეთსა და 77 კაპიკს. 1908 წელს პირველ იანვარში 18843 მანეთსა და 95 კაპეიკს.

წელს მოხდა საზოგადო კრება და ხალხი ბლომად დაესწრო, ეტყობა კვლავ იღვიძებს ინტერესი საზოგადოებისადმი და იმედი უნდა ვიქონიოთ რომ ამხანაგობის საქმე უკეთესად წავა. იმედია ახალი გამგეობა ხალხის სასარგებლოდ არ დაზოგავს შრომასა და ენერჯიას და საზოგადოების საქმეებს სასურველ ნიადაგზე დააყენებს

კარგი იქნება მათხოჯის მაგალითს მიხედონ სხვა და სხვა სოფლებმაც და იმათაც დაიარსონ ასეთი საზოგადოება. ეხლა კი ვუსურვებთ გამარჯვებას მათხოჯის მომხმარებელ ამხანაგობას.

სამანი



### აზიზება და ღაქცივა

—ადამიანის მოქმედება აქანიც კი ღაქცივად.

(ვუძღვნი ა.—ნიკოლა).

#### I

მდინარე ყვირილა თავის მიდამოს არაჩვეულებრივის მოძრაობით ჩაუბოდა. განსაკუთრებით ერთს დაბას, რომელსაც თავის სიფიცხით ვიწრო სათავეში ეხეთქებოდა და შემდეგ გაშლილი, წყნარად, გზა-გზა, ნაპირებს ეჭურჩულებოდა.

ამ დროს მაღლიდგან ღრუბლებში გახვეული სექტემბრის მთვარე სიჩქარით მისცურავდა. სიამოვნებით, რომელიმე ღრუბლებიდან გამოსხლეტილი, გადმოიხედებოდა ერთ დაბის ღამაზე კუჩხისაკენ და განათებდა მოზრდილ შენობას, რომელიც მედიდურობდა.

ეს შენობა, შედარებით სხვა სახლებთან, დიდი იყო და მოუთმენლად მოელოდა გათენებას, რომ ადამიანის ხელს დაემთავრებინა იგი და ხმა ამოელო, — გამოეცხადებინა თავის თავი მეზობელთა შორის მედიდურადა.

ჯერედ დაუსრულებელი ხმას ვერ იღებდა, ხოლო გულში კი იმას ემადრიელებოდა, აქებდა, რომელმაც ადამიანთა შორის ითავა იმისი აგება. ხოლო ნაწილნი ამა შენობისა თავის მდგომარეობაზედ ერთმანეთს ესაუბრებოდნენ.

— რა კარგია ადამიანი — დაიწყო შესავალ კარებთან სვეტში ჩაქედილ თლილმა ქვამა. — მე დღემდის უყურადღებოთ გადმოზნექილი უშნოთ გადმოცყურებოდი კლდიდანა; ყოველიფერი მე მაწუხებდა. ხოლო დღეს კი ღამაში, მორთულ-მოკაზმულ ქალივით, თლილი ვარ აქ ჩემთვის. არც მზე მაცხუნებს ზევიდგან, არც წვიმა მასველებს და არც მთელი ზამთრობით თოვლი დამეგება.

— მართალია! — წამოიძახა ყრუთ იქვე კედელში ქვევ შუა ჩაკირულმა კენქმა. — მე ყოველთვის მოუსვენრად მდინარე ყვირილა მატარებდა ახლა კი ადამიანის წყალობით აქა ვარ ჩემთვის არხეინად მოსვენებითა.

— მე კი ტყეში მერჩინა... — წაიფუჩუნა წაბლის ჩარჩომა გაუბედავად და დადუმდა.

ღედამიწამ კი ამ დროს ყველას გაფრთხილებით შენიშნა:

— კარგია, შეილებო, გაჩუმდით!.. თქვენ ჩემისთანათ ვერ იცნობთ ადამიანსა... აგერ თენდება და არ გაგიგონოთ თქვენმა ამშენებლებმა...

— გათენდა და მოვიდა ადამიანი, რომელიც მე თაყურობდა მუშა ხელოსნებსა.

ადამიანი მუშა-ხელოსნები ყოველ ნაწილს შენობებისის ისე ექცეოდნენ, როგორც უსულოებს და ღონით თუ ხერხით სდებდნენ იქსადღაც სურუქს.

ადამიანმა დაიკმაყოფილა თავის სურვილი შენობის დამთავრებით და სხელად უწოდა „სახალხო დარბაზი“.

დაკმაყოფილდა შენობაც და გულში ადამიანის ქებით, გაზვიადებულმა გამოაცხადა თავისი პირველობა მეზობელ მცირე სახლებთა შორის, და გამედიდურდა.

ს. გლახაშვილი,

## სცენები სცენისათვის.

(გამარჯვებული კარაქტა)

ეპ... წავიდა ძველი დრო! სადღაა უწინდელი ვაჭრობა, მაშინდელი სიმხიარული ძველა ვაჭრობაც კარგი იყო, ბიჭებიც ერთგულნი იყვნენ ხაზინისა, თავაზიანი უფროს-უმცროსობა ესმოდათ. ეხლანდლებს კი არა ჰგვანან, ისე მობრძანდებიან დუქანში გამოპრანქული, თითქოს სტაციი სეკლეტარიაო! უწინ, თუ ბიჭი არ მომეწონებოდა, ხელათ დავითხოვდი. აბა თუ კაცი ხარ, ეხლა გაბედე და დავითხოვე! მინუთში თვრამეტი ათასი აპეკუნი გამოუჩნდება! — დაგადგებიან თავზე: ზოგი ხანჯლით, ზოგი ლევერით და თუ ისევ თავის ადგილზე არ მიიღე, გინდ ავაზაკიც იყოს, ხელათ საიქიოს მამა შენ კირაკუ ზასთან გაგამგზავრებენ ექსტრენი პოიზდით!.. მე შენ გითხრა შეეშინდეთ ვისიმე, აი?!. ეს ჩვენი გოროდოვებიც ხომ ბუზებსა ყლაპავენ. ისე დგანან ქუჩაში, თითქოს სამსახურისთვის ბუნტი გამოუცხადებიათო. ამ წინაზე ერთი ბიჭი დავითხოვე და „ბელოროდნათ“ თვის ოცდათერთმეტამდის გაუსწორდი, სიყმეს გეფიცებით, რა არის? ფინთი გული არ გაყვეს და „სტარში კომიტეტი“ არ დამასხას-მეთქი თავზე; ნაგრამ მე მაინც იმისი გული ვერ მოვიგე!.. დამადგა თავზე და მეუბნება, რომ მითხოვ სამი თვის ჯამაგირი უნდა მომცეო. ორი თვე უმსახურია და სამი თვის „პენციასა“ მთხოვს!.. აი გიდი აი, რა კარგია ფლავი!.. დაგავიწყდა, რომ ჩვენ, პრიკაშნიკებმა, მოვიგეთ, ვიბრძოლეთო. იბრძოლა მამა უცხოვნდება პორტატური მაგას აუღია, აი! — Тамъ Куроки და Того крову проливаль на войнь, ეს კი хвастить, მე ვიბრძოლეო!.. დამადგა თავზე ყურმუსალი და დიმიწყო თვალების ბრიალი: „ნებრემნათ“ უნდა მომცეო; რომ დამპირდი აღარ გახსომსო? რომ დაგპირდი შეილო, ის სხვა დრო იყო, ეხლა სხვა დროა მეთქი!



მაშინ ოცდაჩვიდმეტი კაცი რომ დამაუქით თავზე ბომბებით, მიქელ გაბრიელივით, ოღონდაც დაგპირდებოდი, მაშ რას ვიზამდი. რა უყოთ, რომ დაგპირდი. Слово вода буль-მეთქი прошоль и проналу-მეთქი. წინათ на ваши рукъ була сили-მეთქი, тепера наши, ступай რალა позавить ваши старши комитетъ-მეთქი. თუ ბიჭია ეხლა გამოვიდეს! წინათ რომ მაგარ მაგარსა ყვიროდა, ეხლა მგონია ისე ჩამოკიდონ ჩანგალზე, როგორც „ტელიაჩი გოლოვა“... ამ ლაპარაკში ვართ და გამოჩნდნენ ის მამა ცხონებულნი „კახაკები“. რომ გაიგეს, რომ ის ჩემი ღუქნის ბიჭი მეჩხუბებოდა ისეთ-ისეთი მიაყოლეს, რომ „მარსელსკი“ სიმღერის მაგივრად ისე აყროყინეს, როგორც ბაყალ პაპაანთ ოსეფას ვირი!.. მეც გამიხარდა და მივაძახე უკან: წადი რალა მიჩვილე გძელ თმიან „ცოციალებთან“-მეთქი და ერთი взарвайить მიყონ-მეთქი. სლავა ბოდ, что теперча время по-правилося, თორემ ამ ორი სამი წლის წინათ, ვიდაც ლაწირაკების შიშით ენა მუცელში გვქონდა ჩავარდნილი.

პეტუა.

სოლჰმრული პედნიერება

ქმარი დაქინებით თხოულობდა თავის ცოლი-საგან, რომ ერთი სიტყვით მიმხვდარიყო ქმრის სურვილს.

— გამიგონე ქალო, ერთის სიტყვით უნდა მიმხვდე ხოლმე მთელს ჩემს აზრს. მაგალითათ მე რომ გითხრა „წვერი“ შენ მაშინვე უნდა მომიტანო სამართებელი, საპონი, წყალი და სხვა პირ-გასაპარსად. ცოლიც დასთანმზთა და აგრე უსრულებდა საქმეს

ერთხელ ქმარი ავთ გახთა და ჩვეულებრივ ცოლს უთხრა „ექიმი.“

ცოლი წავიდა და დიდხანს არ დაბრუნებულა. ქმარი ტკივილებისაგან კვნესოდა და იგრიებოდა. როცა დაქანცულმა ცოლმა კარები შემოაღო, ქმარი ანჩხლად შეეკითხა:

ამდენ ხანს სად დაიკარგე?

— დრო უბრალოთ არ დამიკარგავს, მიუგო ცოლმა - ეხლავ აქ კუბოსაც მოიტანენ და ნაც-ნობებიც თავს მოიყრიან, რომ სასაფლაოზედ წავასვენონო.

აივანზედ სხედან ერთმანეთით მობეზრებულნი ცოლ-ქმარი და ბაასობენ.

შენ გგონია რომ ქვეყნათ ბედნიერება მოიპოვება? ან არის სადმე ბედნიერება?

- რასიკვირველია!
- მაშ შენის აზრით ბედნიერება რასეხება?
- მაგას რალა დამტკიცება უნდა!
- შენ იყავ როდისმე ბედნიერი?
- ვიყავ!
- როდის?
- ათის წლის წინეთ, როდესაც შენ არ გიცნობდი, და ჩემდა საუბედუროთ შენ წამოგყვეო, მიუგო გაჯავრებით ცოლმა.

ტიტიკო.

ქართველთა შორის.

**გადაგვარების მოციქულები.** ხელოვნების ქართველ ლექსიკონს ერთი ახალი სიტყვა შემატეზია, სახელდობრ „პარუსკობია“. ამ სახელით მოუწათლავთ სტუმარი ქალიშვილი, რომელიც თურმე ქართულად ლაპარაკს ისე გაუბრბის, როგორც მაჰმადიანი ღორის ხორცს და ჩვენი დეპუტატები თავიანთი სამშობლოს სახელის ხსენებას. ვფიქრობ ეს ტერმინი აწი მოქალაქობრივ უფლებას მოიპოვებს, რადგან ამგვარი «პარუსკობიის» სენით შეპყრობილი ჩვენში ერთობ ბევრია. „პარუსკობითა“ გაყენთილია მთელი ატმოსფერა. სახლში და გარედ, საზოგადო კრებებზე და უბრალო საღამოებზედ ჩვენი საზოგადოება ყველგან და ყოველთვის ლაღად „პარუსკობს და პარუსკობს“. ალბად, „მოპარუსკე“ ხალხს „პარუსკობით“ თავიანთი „კაცობა“ უნდათ დაამტკიცონ.

ქუთაისის ქართული დრამატიული საზოგადოების კრებაა. გამგეობის წევრი კრებას ანგარიშს მოახსენებს. მომხსენებელი ეკუთვნის იმ ჯგუფს (ყოველ შემთხვევაში თანაუგრძობს მაინც), რომელიც სამშობლო ენის მოტრფიალგა. მიუხედავად ამისა ქართულად კრინტს არ სძრავს (ეტყობა არ ეხერხება). მის მაგალითს სხვებიც ჰბაძვენ და იმართება „პარუსკობია“. რა არის ეს თუ არ ერთნაირ ავადმყოფობა?! მუდამ იმას გავიძახით, — ქართულ ენას დევნიან, ავიწროვებენ, სკოლებში შესაფერ და ჯეროვან ადგილს არ უთმობენ და იმავე დროს შემთხვევით არ ვსარგებლობთ, სადაც შეგვიძლია და სრული უფლება გვაქვს იქ შავი კირივით ვერიდებით ქართულად ლაპარაკს და ამნაირათ მისი ყველაზე უფრო უღმობელი და სასტიკი მღვენელი თვით ჩვენა ვართ. იანოვსკისა და ძმათა მისთა მიერ დათესილი თესლს ფრიად ნაყოფიერი ნიადაგი დახვედრია და ახლა თამამად შეუძლიან იდღესასწაულონ მომწიფებული ნაყოფის ხილვა!..

მომხსენებელმა გამგეობის სახელით განაცხადა, რომ ჩვენ, როგორც დავრწმუნდით, მომა-

ვალ სეზონისათვის შესაფერ ანტრეპრენიორს ვერ ვიშოვით და საუმჯობესოთ მიგვაჩნია ვინმეს შეძლება მივსცეთ დრამატიული ხელოვნება შეისწავლოსო. გამგეობას დავიწყებია მხედველობაში ისიც მივლო, რომ დარვინის თეორიით გამოჩენილ არტისტებთან „ხელოვნური შერჩევით“ შეუძლიან საუკეთესო არტისტების გაჩენა და აღზრდა. აი ესენი ოც-ოცდა ხუთი წლის შემდეგ ანტრეპრიზასაც იკისრებენ და თვისი მომხიბვლელი თამაშით ქუთაისის საზოგადოების ესტეტიურ გრძნობასაც სავსებით დააკმაყოფილებენ...

მოგეხსენებათ ეს ერთი ხანია პირველდაწყებით სასწავლებლებში სწავლება ნამესტნიკის მიერ გამოცემული სასწავლო გეგმით სწარმოებს, რის თანახმადაც რუსული წერა-კითხვა ჩვენს სკოლებში მეორე წლიდან უნდა ისწავლებოდეს. აქ მე არ გამოუდგები იმის გარჩევას თუ რამდენად აკმაყოფილებს სად პედაგოგიურ მოთხოვნილებას ეს ოცდა ხუთ წლის წინედ შემუშავებული დაძველებული გეგმა. ეს კია, რომ განმათაუისღფლებელ მოძრაობის წინ არსებულ სწავლების წესს დაშორებას სჯობია ვინ წარმოიდგენდა ახლა, როდესაც მთელი მოწინავე რუსეთი ოქტომბრისტიებიდან დაწყებული ყველა ერთხმად აღიარებს სკოლის სრული გადემოკრატებას ეროვნულ საფუძველზე და სასტიკ კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ არსებულ დამახინჯებულ სასწავლებლებს, ასეთ დროს, ამ ნაკლოვანებით სავსე პროგრამასაც კი წინააღმდეგობას გაუწევდენ და განსაცდელს მოუშადებდნენ სახალხო სკოლების ინსპექტორები და ასე წარმოიდგინეთ, ზოგი ჩვენი სახალხო მასწავლებელიც. თურმე ნუ იტყვიან ბ. ინსპექტორინელ-ნელა ცდილობს მასწავლებლებს ახალი პროგრამით სწავლებაზე ხელი აღებინოს და კვლავ ლევიცკის მეთოდი აღადგინოს. ზოგი სახელოვანი მასწავლებელი სიამოვნებით მიგებებია პოლიტიკანების ქვენა განზრახვას, ეს ვაჟბატონები ბავშვების ნორჩ და სათუთ გონებას პირველ წლიდანვე წინააღმდეგ ნამესტნიკის გეგმისა, სრულიად უცხო და გაუგებარი სიტყვების წერა-კითხვით უმასპინძლებიან ხოლმე ქართული ენის ხარჯზედ ამ ბეჭით მასწავლებელთა შორის თვალსაჩინო ადგილი უქირავს სალხინოს მასწავლებელს გობეჩიას, იმ გობეჩიას, რომელსაც ამხანაგებმა ერთ დროს ბოიკოტიც კი გამოუცხადეს და რომელსაც პრინცი მიურატოს ქვრივი დიდს მზრუნველობას უწევს. სამწუხაროდ გობეჩიებისთანა მამული შვილები სხვებიც არიან, რომლებიც თავიანთი საზიზღარი მონურ საქციელით სამარცხვინო ჩირქს სცხებენ საერთოდ მასწავლებელთა კორპორაციის კეთილმოზილურ სახელს.

Je suis,

ანხეოლოგიური ნაშთების შექსნა-განხდა  
გურება ჩვენში. შიხლიოთიქა  
(წერილი ახალციხიდან).

ვერ წარმოიდგენს ადამიანის გონება თუ რა მავნე ელემენტები არტყია გარს ჩვენს ქართველობას, რომელნიც თავიანთი პირადი ინტერესების გამო, რომ მუდამ სავსე ჰქონდეთ თავიანთი მყრალი კუჭი გამასუქებელი ნივთიერებითა, ბოლო მოუღონ და მოსპონ ამიერიდგან ქართველთა განძი, თუ რამღა დარჩენილა ჩვენი წინაპართა ნახელოვნევი ჩვენს ქვეყანაში

დღემდი, ჩვენს საკუთარს (საქართველოს) ტყე-ღრეში და მეუდაბნოებში, თუ რამღა მოღწეულა უფებლათ ათას წლიანნი ციხე-კოშკ-ეკკლესიები ზედწარწერებითურთ და მისთანობა, და ისიც უფიცი და ბნელი ქართველთა ხალხის წყალობითა, რომელთა დაუცავთ წმიდათ როგორც ჩვენი წინაპართა ნასაქმევი, იმათღა მოსახსენებლად და დღეს კი აწყო განათლებულ ხანაში გვმართებს ყოველთა უფრო უწმიდესათ და უფებლად დავიცვათ იგი. წინააღმდეგ ამისა ჩვენვე ვანადგურებთ და ვსპობთ ამიერიდგან ამ სიმდიდრესა და ქართველთა სიამაყეს, რომელიც ნათლად გვიმოწმებს და რომ ოდესმე საქართველოს კულტურა აყვავებულა და არ ჩამორჩენილა უძველესი ხალხთა კულტურასა. სწორედ დიდი უსინდისო, შეუბრალებელი და გულქვა ადამიანი უნდა იყოს, ეროვნული სიძველეთა შემმუსვრელი!.. არას დროს არ უნდა მიეტეოს მას ასეთი ჩანადენი, მეტადრე დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყნის სიძველის მკვლევართა ჯგუფი არსებობს ისტორიულ არხეოლოგიურ მასალების შესაკრებათ და დასაცავათა.

ამ ჟამად, ახალციხეში. წმიდა იოანე ნათლი მცემლის სახელობაზე ნაშენ უძველეს ეკკლესიას აქცევენ ახალის ასაშენებლად.

ეს ეკკლესია ოთხჯერ ყოფილა სხვა და სხვა დროს (მიშენებული) გადიდებული. სხვა და სხვა კედლები ნათლათ ამტკიცებს ამას; როგორც პირველი უძველესი ტაძარი (ქაქარი) ათას წელზე ნაკლები შენობა არ უნდა იყოს; როგორც კედლებში, ისე საძირკველში მრავალი საფლავის წარწერიანი ქვები ჰქონდა დატანებული და მისთანავე ნახატი ჩუქურთმები: ახალმა მოძღვარმა მიხილო ვარძელაშვილმა შეუბრალებლად დაუწყო დამტვრევა ამ ძვირფას ქვებს დასათლელად. ნუ თუ არ შეძლო მას ისე დაუნტვრელად გარშემო მწყობრივ ჩატანებინა ან ზევით კედელში და ან ქვემოთ და მით ერთ ადგილას აღენუსხა სამი-ოთხი და უმეტე-

სი საუკუნეების გადაცვლილთა მოსახსენებელი?.. დიად, ძვირფასი იქნებოდა, მარა მან ეს არ ინება და განადგურებით მოსპო ძველი მიცვალებულთა სახსენებელი ამიერიდან. მე მსურდა სიტყვა-სიტყვით ვადმომეწერა დამტვრეული ქვებიდან ტექსტები, მარა ერთმანეთში არეულიყო და ველარ მოხერხდა წაკითხვა მათი.

ერთს-ერთს ქვის ნატეხებიდან შემდეგი ამოვიკითხე: „ამ ღოდ ქვეშ მდებარე ანს იოანე მღვდელი გარსევანაშვილი დიხსეული იქმნა მანე მანეთაკან ის წამებუდი 1771 წ.“

მეორე ნატეხზე: ამ ღოდ ქვეშ მდებარე ვ. რ. (სახელი ვერ ამოვიკითხე) ქათაძე (წლის რიცხვი ქართული ასოებია კარგა ვერ ამოვიკითხე).

ზოგიერთი: ნატეხებიდან ამოვიკითხე: 1795: 1711 1772 1780 1811.

ზემოხსენებულ გარსევანაშვილს იოანე მღვდელზე შემდეგი წარწერა ვნახეთ ამავე ეკლესიის ძველს კონდაკში. სადაც ამავე ეკლესიაში დაკრძალულ მიცვალებულთა ცნობები მოთავსებულია. გარსევანათ ტერი იოანე, რომელიც სომხებმა მოწამლეს ოქრობაგეთს და წამებული გახდა ღვთის სიტყვისათვის 1779.

აქვე სწერია: ნარუათ ტერ-გრაგოლი მისიონერი 1798 ვართანათ ტერ-ხაჩატური ეკლესიაში სახარების კითხვის დროს, რა ამბობდა—სიტყვა მას: „აჰა ესე რა აღვალს იერუსალიმს და ძე კაცისა მიეცესო“, მაშინვე დაეცა მეხი და მოკლა და სხვა მრავალი ცნობაა, რომლებიც თავის დროს დაიბეჭდება.

მამა მიხეილ ვარძელაშვილი დიდი საყვედურის ღირსია ასეთი მოღალატობისათვის ყველა ქართველებისაგან, ვისაც კი შესწევს ცოტა სამშობლოს სიყვარული.

ეს მოძღვარი ვარძელაშვილი, გახლავთ ის მოძღვარი, რომელზედაც შემდეგი ცნობები იყო დაბეჭდილი გაზეთ „ისარში“: ახალმა მოძღვარმა მიხ. ვარძელაშვილმა დაიწყო ეკლესიაში ქართული ლოცვების შემცირება, როგორც ეტყობა ჩქარა მოსპობს ერთიანად და ამის სომხურად შესცვლისა და ამის წინააღმდეგ იმავე გაზეთში „თოვლქვაპი“ სწერდა: მამა მიხ. ვარძელაშვილი არამც თუ ამცირებს ქართულ ლოცვებს, არამედ ამრავლებსო.. სხვათა შორის იგი (ავტორი) თანა უმატებს: მამა ვარძელაშვილის ქართველობას ვერცნ უარს ვერ ჰყოფსო, რის დასამტკიცებლად მან მამა მიხეილმა) ხიზამავრის ახალ ეკლესიაზე ქართული წაწერა, რისთვისაც მთავრობამ იგი დასაჯაო..

საკვირველია, ღმერთმანი, „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირებსო“, სწორედ ამისთანაზეა ზედ გამო-

ქრილი, თუ კი ახალ ეკლესიებზე ახალად წერეს ქართულს მამა მიხეილი, რა მიზეზია; როდენმე საუკუნოვან წარწერებს იმნაირსავე ეკლესიებზე ანადგურებს და სპობს ამიერიდან სამარადისოდ ალბათ. თუ რამ წარუწერია ხიზამავრაში, იქ რა ღაც პირადი ინტერესი ჰქონია, თუ არა და ტყუილია... მაგრამ რაა გასაკვირველი ქვეყნათ, როდესაც სუფევს: თვალმაქცობა, აფერისტობა, მოღალატობა?..

აქვე უნდა აღვნიშნოთ: მამა მ. ვ. — ღმა ამა ეკლესიის ამშენებელი კომისია უკანონოთ აარჩია თვითონ დაასახელა ხუთმეტოდე შეკრებილ კაცში ვინც მას სურდა და მორჩა. არჩეულები იმისთანა პირები არიან, რომ უმრავლესთ არა ესმისთ რა შენობისა... როდესაც მცოდნე პირები დაუსახელეს მას, მან არ მიიღო მცოდნენი.

ალბათ, უვიცი უფრო ხელს აძლევს მამა ვარძელაშვილს!

„ქუნაპეტი“.

### პ რ ო გ ი ნ ც ი ა

—:—  
ქიზიყი და ქიზიყელაბი

(საუბარი სულიერ მამებზე).

ბ.ნო რედაქტორო! მე დიდათ მაკვირებს თქვენი დაუდევრობა, რომ ქიზიყს უყურადღებოთა სტოვებთ და ნიშადურით არ უმასპინძლებით. მეგრე რა ძალა ჰქონია მაგ ღვთისაგან დალოცვილს. ვისაც კი მოჰხვდა ყველას გაჩენის დღე აწყველინა, ესდევებს ხომ თავსბრუ დაასხა და ეშმაკს კუდი ძირში მოაგლიჯა. ახლა უნდა პროვინციულ ესდევების დამქაშებლს მიაპყრათ თვალი, რა საცოდობაში იმყოფებიან. „ნიშადურის“ სახელს რომ გაიგონებენ, თითქოს ღვთის რისხვა მოველინათო, აქეთ იქით გარბიან და თავიანთ კერპებს შველას ეხვეწებიან.

„ნიშადურის“ ღირსებას ის შეადგენს, რომ იგი ყველას ერთნაირად უმასპინძლებდა და ფემიდას სასწორითა სწონავს ყველაფერს. მაგრამ რად დაავიწყდა ქიზიყი? „აი საკითხი სწორედ ეს არის!“ აქეთაც ძალიან ბევრი არიან, რომელთაც „ნიშადური“ მოუხდებათ და იქნებ მაღლიერნიც დაგვრჩენ, რადგან მათ კარგად იციან, რომ „ნიშადური“ „მოყვარეს პირში უძრახის და მტერს კი პირს უკანა“.

აი, დავიწყეთ სიღნ ღიდან და შემდეგ სოფლებს შემოუაროთ. მხოლოდ ისე კი რომ ყველა ჩვენ მიერ ნიშანში ამოღებული დასტებად დავეყოთ. რათა საქმე უფრო გაგვიადვილდეს და მიზანსაც მივახწიოთ, დღეს ჩვენ მხოლოდ მღვდლებთან გვექნება საქმე.

უპირველესად ყოვლისა დიდის პატივით უნდა მოვიხსენიოთ სიღნადის გაგმირებული მღ. გ. ღვ—ვი. ამს რომ ნელად შეზავებული ნიშადურით გაუპასპინძლდეთ, ბევრს ეწყინება. დიდ დამნაშავეს დიდი სასჯელი მიეზღვის.

იქნება გერტერესებათ, გაიგოთ სულიერ მამას რა ცოდო მიუძღვის? მაგრამ ცოტა მოვიცადოთ, სანამ ნიშადური ამოწვამდეს, და შემდეგ თვითონ აღიარებს ცოდვლ პი-

რით ნებსით და უნებლიერ ჩადენილ ცოდვებს, რა გულიანად გაიცინებენ მისი მეგობრები, რომელთაც სანიშადური დღე მალე დაუდგებათ.

ახლა დავეყვით სოფლებს. მაგრამ სანამ სოფლათ ჩავიდოდეთ, ცოტა ხანს წმ, ნინოს მონასტერში შევიხედოთ. ღმერთო ჩემო! განა ცოდვილ ადამიანს უფლება აქვს სთქვას: აქ წმინდა ბერ-მოღოზნები სცხოვრობენო? ბოროტნი სულნი მაათან შედარებით ანგლოზები არიან. მუდაპ ჩხუბი და დავიდარაბა! ახ, რატომ ქართველებს ბოკაჩია არა ჰყავთ, რომ ახლის მშვენებით აეწერა ახლანდელი ბერ-მოღოზნთა „სიწმინდე და სისპეტაკე“!

აქვე მ. ნაც—ვია და რადგან არისტოკრატები ნაზ არსებისანი არიან მეტ მცონარეობისაგან, ამიტომ ნაცვალთ-ვიც შეიბრალებთ, რადგან არისტოკრატთა კატეგორიას ეკუთვნის და ნელად შეზავებული ნიშადური მისთვის ნელსაცხე-ბელი იქნება.

აბა ქვევით წავიდეთ. გადავიართო ბოდბისხევი და ქვემო მაჩხანს ვესტუმროთ. ბოდბისხევი ჩვენი საკბილო არა-ვან არის. იქ მოხუცი რობიტოვია. ის არაფერს გვიწავებს, მაგრამ ამ დალოცვილს ქვემო მაჩხანში მღვდლების ბუდეა. ყველაზე ძლიერ აქ ერთი მთავარ ანგლოზი ბრწყინავს. ეს განსაკუთრებული ციციუნია მენ—შვილი—დიდებულ აწ განსვენებულ შახნაზის ძმა. თვისი გესლიანი ერთ თავს შემოვიღო პატი-ოსანი მებრძოლი და ერთგული პოლიციისა. იმდენი აქეზა, რომ იმ საიქიოს მოციქულად გაგზავნა, დიდ არს ისტორია ეფთოსი. ვინ მოსთვლის ხელოვნურად რადენჯერ გაგიყებუ-ლა და ისევ დატკივანებულა? ვით ნაპოლეონი უბრალო აფი-ცერი იყო და მეფედ გახდა, აგრეთვე ეს პატიოსანი გვამი უბრალო მებრე—შეიქმნა თვითმპყრობელი ხირსის მონასტრი-სა და... ეხლა ძალიან გაქამელონდა. რომელ ხეზედაც ავა იმ ფერს მიიღებს ხოლმე, დიდ არს მისი მოღვაწეობა. და თვისი მოღვაწეობით ძმა ძმასა და ნათესავი ნათესავს გადაჰკი-და. ახლო მომავალში მისი ეგეთი „საგმირო საქმე“ გაირჩე-ვა და დაწვრილებით მაშინ შევატყობინებთ რა ხარისხის ნიშადური უნდა გამოეწეროს.

ეხლა ცოტა შევთავაზოთ, არა უშავს რა.

ზემო მაჩხანის შორს არ არი. რა წამს შევალთ სო-ფელში, მიშო ბენაშვილი თვალნი შეგვეჩხირება თავის „Тѣ-лохранитель“-ებით. ოცი ნაბიჯიც რომ გადავდგათ ჯერ სქელი მუცელი გამოჩნდება და შემდეგ სახის სიმსუქნისაგან ძლივს გაარჩევ მდ. კირილე დე—ოვს. ეს ორი შეური-გებელი მტერი ერთმანეთს არ უსვენებენ. არა მე უნდა მი-ვიღო ბლაღოჩინობა და არა მეო! ამ ქრისტეს მოციქულებმა იმის მაგივრად რომ ხალხს ძმობა და სიყვარულის მაგალითი უჩვენონ, მუშტი კვრიგსა და მტრობას ასწავლიან.

მღ. სარდიონ ალ—შვილი, დღეს მოულოდნელად და-ბრძენებული ბევრს ურჩევს ერთადვეს, რომ ერთხელ და სა-მუდამოდ მოსპონ ატეხილი დავიდარაბა, მაგრამ ხმა მისი რჩება ხმად მალადებლისა უდაბნოსა შინა.

დანაზრენებზე შემდეგ ნომერში.

სარიგლეკვია

ძ შ თ ა ი ს ი. ახალი ჯურის ლიტერატურა. ქუთა-ისში ერთ ესდევს, მგონია სტუდენტს, მშვენიერი ხელობა

დაუწყია: უსახელო წერილებს ოჯახებში გზავნი, და შფოთს ახდენს. ამ შრომისათვის, ანუ ახალი ჯურის ლიტერატურის-სათვის თავის ნათესავის, მგონი „პარტნიოსაგან“, ყოველ უსახელო წერილის დაწერაში ოროლ ბოთლ ღვინოს ღებულობს. განათლება მა რა ჯანდაბა!

ვასო.

სამტრიალი. ა ქ ე თ უ რ ი—ი ქ ი თ უ რ ი. ჩვენს და-ბას ზაფხულობით კაცი ვერ დაემდურება, დიდებული ბაზარი აქვს. რა გინდა რომ აქ არ სადღებოდეს: გადის ზილი, ში-ნაური ფრინველები და პარკი, ამ უკანასკნელს ჯერ-ჯერო-ბით ძლიერ დაბალ ფასებში ყიდულობენ. ახალმოდის ჩარ-ჩებს რა გაუძლებს, რა რჯულის მყიდველი გინდა რომ აქ არ ტრიალებდეს. კვირა-პარასკეობით ბაზარში ვერც გაივლის ადამიანი, იმოდენა ხალხი იყრის თავს და ტრიალებს..

ჩამოსულებისთვის ძნელია ღამის გათევა რადგანაც აქა-ურ სასტუმროში ადამიანს არ შეესვლება, ისეთებით არის სავსე..

ძლიერ გახშირდა ჯიბგრობა, დღე ერთია და ფულის ამოცვლა ათასი, არსად არის ხსნა—დაფარვა!

გახშირდა აგრეთვე სამედიკატორო სამართალიც. ჯერ არ დასრულებულა ცნობილი „სმარტიტელის“ საქმე ქალის გალახვის შესახებ, მაგრამ მითქმა-მოთქმა კი ბევრია—ან კი რა დაასრულებს, რადგან ფჩიხელი ჯერ არავის უნახავს..

ცნობილ პარტიის ლიდერმა ყალბი ფულის გასაღებას მიჰყო ხელი, ბოლოს შეეკოცეს და რამდენიმე ათასი ნაღდი უნახავს... ეს განსაკუთრებული დამცველი! ხშირად გაიგონებთ გლეხის წუწუნს—დამაღუპეს „ფარშივი“ ფული შემომპა-რესო. დაბეჯითებით ამბობენ, რომ დიდძალი ყალბი ფული ტრიალებს აქაო.

დიდი ხანი არ არის, რაც ჰვათურიდან მოგვევლინა ცნობილი „ლადიკო“—დიდი ალაგის კანდიდატთა თოვლება; იმედია მისწრებაზე ისეთ სქემს „გამომიანსიზამს“, რომ სულ მალე დამტკიცებენ. სწორედ ესეთი საზოგადო მოღვაწე ნაპოვნ თ ჩაითვლება ჩვენთვის.

რკინის გზას საკუთარი თეატრიც აქვს, ვინ გინდა რომ იქარ თამაშობდეს. თეატრი სულ მუდამ სავსეა, თუმცა ბილე-თებს არავინ ყიდულობს. ალბათ ისრე „ქვრებიან“... რო-გორც ამბობენ ჩვენ თეატრში ამ დღეებში დანიშნულია პირველი გასტროლი, ცნობილ არტისტის კოლხიდელისა. ფა-სები მომეტებულია. ამას წინად „ქართულმა დრამამ“ ითა-მაშა ბ. ირეთელის პიესა „დამარცხებული“, არ ვიცი, ღმერ-თმანი, ვინ დარჩა დამარცხებული, არტისტები თუ ავტორი: კასაში 30 მანეთი იყო და გონორარს 25 მანეთს ითხოვდა ავტორი... აქ მუზიკაც არის, რომელიც მკვდრებს უფრო ხალისიანად მისდევს. ვინემ ქორწილში ცოცხლებს...

ახალი ეხლა ის არის, რომ „ლადიკომ“ თეატრს ბოი-კოტი გამოუტყვანდა.

ბიჭი-ბიჭი.

სოხუმი. ს ხ ვ ი ს ნ ა ო ხ ა რ ზ ე. ამას წინად აქ ჩა-მოვიდა ერთი ახირებული კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს აქაური „თავისუფალი მიწების“ გაშინჯვა და დარიგება არა ადგილობრივ მკვიდრთათვის, არამედ ვილაც. გადამითე-ლებისათვის..

ჩვენ ხ.ლხს უმიწა-წყლობით სული ეხუთება: ვერც სა-კუთრებათ შეუძენიათ და ვერც იჯარით აულიათ შესამუშა-

ცოლქმრული ბედნიერება

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



გასწი მალე, გადი თორემ საცაა ქმარი შემოვა მოგისწრობს!



— ქალო სად გამგზავრებულხარ? — საყვარელთან! შენთან შიმშილს იმასთან ქიფი მირჩევნია!..

ვებლად. პირველს მთავრობა უშლის. ხოლო მეორეს შემამუ-  
ლენი, რომელნიც უფრო სხვა ტომის ხალხზე არჩევენ მიწე-  
ბის გაცემას ვიდრე თავიანთი მოგვარეთათვის...

ასეთ პირობებში ჩავარდნილი ხალხი, რა თქმა უნდა,  
უკიდურეს ზომამდე მიღწეულია და სულაც არ იქნება სა-  
კვირველი, რომ სასოწარკვეთილობამდე მისული ისეთ გზას  
დაადგეს, რომელიც ბევრს რასმე საშიშოს და სახიფათოს  
უქადიდეს ჩვენს ისედაც არეულ-დარეულ ურთიერთობას...

არას დროს არ ყოფილა მაგალითი, რომ სხვის ნაო-  
ხარზე ვისმე ააშენებინოს თავის კეთილდღეობა; ბოლო ასე-  
თის უსამართლობისა მუდამ ცუდი ყოფილა და იქნება კიდევ.  
ვისაც ყური აქვთ სმენათ—ისმინონ.

ივანე—ია.

ფოთი

**სომეხ-თათარ მუშაგის შეტაკება.** 17 ამა თვის მე-  
შა სომეხ-თათართა შეტაკება მოხდა. აი, საქმე რა რიგ მო-  
მხდარა. გემის სახელად „Berrshire“-ს დატვირთვა მიუნდია  
ავ. ავგერინოსათვის. ავგერინოს შავი ქვის მწარმოებელის  
ჩილინგირიანის ქვით დაუწყია ტვირთვა და სამუშეო გარე-  
დაუცია თათრებისათვის, რადგანაც მას თათრების არტელი  
ჰყავს. ეს სომეხებს არ ესია მოეწონა; ჯერ კიდევ 14 ივნის  
მოსვლით უსია მოეწონა, მაგრამ უნდარამებს ორი მზა-  
რეებისათვის მიუციათ სამუშეო გარე, მხოლოდ 17 მოხდა შე-  
ტაკება და თორმეტი თათარი დაიჭრა, სომეხი კი არც ერთი.  
როგორც სჩანს სომეხები დამზადებული ყოფილან. პოლიცია  
რამოდენიმე სომეხი დააპატიმრა და თან გუბერნატორს დე-  
პეშით აცნობა. ვნახოთ რით დასრულდება ეს არა სასიამოვნო  
მოვლენა.

**ქარცვა-გლეჯვა.** ამ ბოლოს დროს დაიწყეს უსა-  
ხელო წერილების წერა. მეტადრე უგზავნიან ბერძნებს. ამ

პარაზიტებმა ნუ თუ ვერ გაიგეს, რომ ბერძნებს ეხლა ერთი  
თათრული „სუ“-ც არ მოეძებნება! . ამას წინად თავს დაეს-  
ხათ წარკინის გზაზე მოსამსახურე ლურჯიას სახლს, მაგრამ  
თვითონ ლურჯია სახლში არ დაუხვდა ამ რაინდებს. მაგი-  
ერში ამ დევ-გმირებმა გაილაშქრენ ქალებზე. ყურებზე სა-  
ყურეები ჩამოგლიჯეს, თითებზე ბეჭდები წაგლიჯეს და გა-  
უდგენ გზას. პოლიციამ როგორც სჩანს კვალს მიაგნო და  
ორი კიდევაც დაატყვევა. 17 ივნისს კაპარჯის პირად და-  
პ-ტიმრეს ს. ლანჩხუთელი ურუშაძე. როგორც ამბობენ ამ  
ურუშაძეს ბევრი რამ ცუდი საქმეების ჩადენა ბრალდება.

ნუკ.რი

რედაქციისაგან

ზოგიერთი ქარაფშუტა-დარბაისელი მექორენი,  
თურმე, დაუინებით ავრცელებენ ხმას საზოგადოე-  
ბაში, რომ ვითომც წერილები, რომელნიც დრო  
გამოშვებით იბეჭდება ხოლმე „ნიშაღურში“ მო-  
ნადირეს ფსევდონიმით ეკუთვნოდეს ჩვენ პატივ-  
ცემულს მგოსანს კ. მაყაშ—ს. რედაქცია ამით  
ამოწმებს, რომ მექორეთა ექვში სრულებით მოკ-  
ლებულია სიმართლეს, რადგან ბ-ნი კ. მაყაშ—ი  
არავითარ ფსევდონიმს არ საჭიროებს და რასაც  
სწერს ყოველთვის თავის სახელს აწერს.

რედაქტორ-გამომც. ვალერიან გუნია.